პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 15 (25), ორშაბათი, 1 მაისი, 1944 წ. ფასი 1 მან.

## გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს!

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წლის 1 მაისი № 70 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო! გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ დროებით მოქცეულო და გერმანიის ფაშისტურ კატორღაში ძალდატანებით გარეკილო ძმებო და დებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღეს!

ჩვენი ქვეყნის ხალხები 1 მაისის დღეს ეგებებიან წითელი არმიის შესანიშნავ წარმატებათა ვითარებაში.

სტალინგრადთან გერმანელთა დივიზიების განადგურების დროიდან წითელი არმია თითქმის განუწყვეტელ შეტევას აწარმოებს. ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ ბრძოლებით განვლო ვოლგიდან სერეტამდე, კავკასიონის მთისძირებიდან კარპატებამდე, ანადგურებდა რა ბილწ მტერს და აძევებდა მას საბჭოთა მიწა-წყლიდან.

1943-44 წლების ზამთრის კამპანიის მსვლელობაში წითელმა არმიამ მოიგო ისტორიული ბრძოლა დნეპრისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინისათვის, დაამსხვრია გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი სიმაგრენი ლენინგრადთან და ყირიმში, მარჯვე და სწრაფი მოქმედებით გადალახა გერმანელთა თავდაცვა იუჟნი ბუგის, დნესტრის, პრუტის, სერეტის წყლის ზღუდეებზე. თითქმის მთელი უკრაინა, მოლდავეთი, ყირიმი, ლენინგრადისა და კალინინის ოლქები, ბელორუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაწმენდილია გერმანელ დამპყრობთაგან. სამშობლოს დაუბრუნდა სამხრეთის მეტალურგია, კრივოროჟიეს, ქერჩისა და ნიკოპოლის მადანი, უხვმოსავლიანი მიწები დნეპრსა და პრუტს შუა. ფაშისტური მონობიდან განთავისუფლებულია ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

ასრულებს რა ფაშისტ დამპყრობთაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების დიად საქმეს, წითელი არმია მიადგა ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს რუმინეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან და ახლა განაგრძობს მტრის ჯარების განადგურებას რუმინეთის ტერიტორიაზე.

წითელი არმიის წარმატებანი შესაძლებელი გახდა საბჭოთა სარდლობის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის მეოხებით, ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების მაღალი მორალური სულისკვეთებისა და შეტევითი აღფრთოვანების მეოხებით, პირველხარისხოვანი საბჭოთა სამხედრო ტექნიკით ჩვენი ჯარების კარგად აღჭურვის მეოხებით, ჩვენი არტილერისტების, ნაღმტყორცნელების, ტანკისტების, მფრინავების, მეკავშირეების, მესანგრეების, ქვეითების, კავალერისტების, მზვერავების გაზრდილი ოსტატობისა და გაწვრთნილობის მეოხებით.

ამ წარმატებებს მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ჩვენმა დიდმა მოკავშირეებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, რომლებსაც უკავიათ ფრონტი იტალიაში გერმანელთა წინააღმდეგ და გვაშორებენ ჩვენ გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვან ნაწილს, გვამარაგებენ მეტად ძვირფასი სტრატეგიული ნედლეულითა და საჭურვლით, სისტემატურად ბომბავენ გერმანიის სამხედრო ობიექტებს და, ამრიგად, ძირს უთხრიან უკანასკნელის სამხედრო ძლიერებას.

მაგრამ წითელი არმიის წარმატებანი შეიძლებოდა მტკიცე არ აღმოჩენილიყო და ისინი გაქარწყლებულიყო მოწინააღმდეგის პირველივე სერიოზული კონტრდარტყმით, რომ წითელ არმიას ზურგს არ უმაგრებდეს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა. წითელმა არმიამ სამშობლოსათვის ბრძოლებში უმაგალითო გმირობა გამოიჩინა. მაგრამ საბჭოთა ხალხიც პირნათლად იხდის ვალს წითელი არმიის წინაშე. ომის ძნელ პირობებში საბჭოთა ხალხმა გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია საჭურვლის, ცეცხლითი მასალების, ჩაცმულობის, სურსათის მასობრივი წარმოებისა და ფრონტებზე წითელი არმიისათვის მათი დროულად მიწოდების საქმეში. განვლილი წლის მანძილზე სერიოზულად გაიზარდა საბჭოთა მრეწველობის ძლიერება. მწყობრში ჩადგნენ ახლად ახალი ქარხნები, შახტები, ათობით ელექტროსადგურები, რკინიგზის ხაზები, ხიდები. საბჭოთა ადამიანების ახალი მილიონები დადგნენ დაზგებთან, დაეუფლნენ ურთულეს პროფესიებს, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები. ღირსეულად გაუძლეს ომის განსაცდელს ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ომიანობის დროის ძნელ პირობებში საბჭოთა გლეხობა დაუღალავად მუშაობს მინდვრებზე, სურსათით ამარაგებს ჩვენს არმიასა და მოსახლეობას, ნედლეულს აწვდის ჩვენს მრეწველობას. ჩვენმა ინტელიგენციამ კი საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, კულტურა და ხელოვნება გაამდიდრა ახალი შესანიშნავი მიღწევებითა და აღმოჩენებით. სამშობლოს დაცვის საქმეში ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა ქალებს, რომლებიც თავდადებით მუშაობენ ფრონტის ინტერესებისათვის, მამაცურად იტანენ ომიანობის დროის ყველა სიძნელეს, საბრძოლო საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ წითელი არმიის მეომრებს — ჩვენი სამშობლოს განმათავისუფლებლებს.

სამამულო ომმა ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხალხს უნარი შესწევს სასწაულები მოახდინოს და გამარჯვებული გამოვიდეს უაღრესად მძიმე განსაცდელიდან. მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი აღსავსეა გადაწყვეტილებით — დააჩქაროს მტრის განადგურება, მთლიანად აღადგინოს ფაშისტების მიერ დანგრეული მეურნეობა, გახადოს ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და შეძლებული.

წითელი არმიის დარტყმებით ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკი ირღვევა და ინგრევა. შიში და შეშფოთება სუფევს ახლა ჰიტლერის რუმინელ, უნგრელ, ფინელ და ბულგარელ „მოკავშირეთა“ შორის. ახლა ჰიტლერის ეს ხელქვეითნი, რომელთა ქვეყნების ოკუპაცია გერმანელებმა მოახდინეს და კვლავაც ახდენენ, არ შეიძლება არ ხედავდნენ, რომ გერმანიამ ომი წააგო. რუმინეთს, უნგრეთს, ფინეთსა და ბულგარეთს კატასტროფის თავიდან აცილების მხოლოდ ერთი შესაძლებლობა აქვთ: კავშირი გაწყვიტონ გერმანელებთან და გამოვიდნენ ომიდან. მაგრამ ძნელია იმის ვარაუდი, რომ ამ ქვეყნების ახლანდელ მთავრობებს უნარი შესწევთ გაწყვიტონ კავშირი გერმანელებთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნების ხალხებს მოუხდებათ თვითონ აიღონ თავიანთ ხელში გერმანელთა უღლისაგან თავიანთი განთავისუფლების საქმე. და რაც უფრო მალე შეიგნებენ ამ ქვეყნების ხალხები, თუ რა ჩიხში მოამწყვდიეს ისინი ჰიტლერელებმა, რაც უფრო მალე შესწყვეტენ ისინი თავიანთი გერმანელი დამმონებლებისათვის და თავიანთ საკუთარ ქვეყანაში მათი ხელქვეითებისათვის — კვისლინგებისათვის ყოველგვარ მხარდაჭერას, მით უფრო ნაკლებ მსხვერპლსა და ნგრევას განიცდიან ეს ქვეყნები ომისაგან, მით უფრო მეტად შეუძლიათ მათ იქონიონ დემოკრატიული ქვეყნების მხრივ გაგების იმედი.

წარმატებითი შეტევის შედეგად წითელი არმია მიადგა ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს 400-ზე მეტ კილომეტრ მანძილზე და გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან გაათავისუფლა ოკუპირებული საბჭოთა მიწა-წყლის $^{3}/_{4}$-ზე მეტი. საქმე ახლა ის არის, რომ ფაშისტ დამპყრობთაგან გავწმინდოთ **მთელი** ჩვენი მიწა-წყალი და აღვადგინოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები **მთელ ხაზზე**, შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე.

მაგრამ ჩვენი ამოცანები არ შეიძლება შეიზღუდოს ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან მტრის ჯარების განდევნით. გერმანელთა ჯარები ახლა მოგვაგონებენ დაჭრილ მხეცს, რომელიც იძულებულია წახოხდეს თავისი ბუნაგის — გერმანიის საზღვრებისაკენ იმისათვის, რომ ჭრილობები მოიშუშოს. მაგრამ თავის ბუნაგში წასული დაჭრილი მხეცი კვლავ საშიში მხეცია. ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მოკავშირე ქვეყნები დამონების საფრთხისაგან რომ ვიხსნათ, საჭიროა კვალდაკვალ ვდიოთ დაჭრილ გერმანელ მხეცს და ბოლო მოვუღოთ მას მის საკუთარ ბუნაგში. ხოლო მტრის დევნისას ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ გერმანული ტყვეობიდან ჩვენი ძმები პოლონელები, ჩეხოსლოვაკები და ჩვენი მოკავშირე სხვა ხალხები დასავლეთ ევროპისა, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის ქუსლქვეშ იმყოფებიან.



გასაგებია, რომ ეს ამოცანა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე გერმანელთა ჯარების განდევნა საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი ღონისძიებების საფუძველზე, ერთობლივი დარტყმების გზით აღმოსავლეთიდან — ჩვენი ჯარების ძალებით და დასავლეთიდან — ჩვენი მოკავშირეების ჯარების ძალებით. ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ ასეთი კომბინირებული დარტყმით შეიძლება ჰიტლერული გერმანიის სავსებით განადგურება.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო! გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ დროებით მოქცეულო და გერმანიის ფაშისტურ კატორღაში ძალდატანებით გარეკილო ძმებო და დებო!

**მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღესასწაულს!**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

წითელი არმიის მიერ ფრონტზე მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებათა პატივსაცემად და ზურგში საბჭოთა კავშირის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის დიად წარმატებათა აღსანიშნავად, დღეს, მშრომელთა მსოფლიო დღესასწაულის დღეს, 20 საათზე მოსკოვში, ლენინგრადში, გომელში, კიევში, ხარკოვში, როსტოვში, თბილისში, სიმფეროპოლში, ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

**გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!**

**გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!**

**გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!**

**გაუმარჯოს საბჭოთა პარტიზანებს!**

**სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!**

**სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!**

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მწერალ ი. გ. ერენბურგის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო ომში წარმატებითი სამხედრო-ლიტერატურული მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულ იქნას მწერალი ილია გრიგოლის-ძე ერენბურგი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1944 წლის 30 აპრილი.

# მწერალთა კავშირის მუშაობის გარდაქმნისათვის

## მწერალთა აქტივის თათბირი

ამას წინად შესდგა მწერალთა აქტივის თათბირი, რომლის ამოცანებიც თავის შესავალ სიტყვაში საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. სიმონ ჩიქოვანმა შემდეგნაირად განსაზღვრა: ეს თათბირი არსებითად წარმოადგენს გაგრძელებას ჩვენი პლენუმისას, რომელმაც უმთავრესად შემოქმედებითი საკითხები განიხილა და დასახა ჩვენი მწერლობის შემდგომი აქტუალური ამოცანები. ამ თათბირმა უნდა გამოიმუშაოს ის ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთა გატარებამაც უნდა უზრუნველჰყოს ჩვენი მწერლობის წინაშე დასახული შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა.

თათბირის სხდომებს ესწრებოდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. პეტრე შარია.

კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას მწერალთა ორგანიზაციის მუშაობა, წარმოდგენილი იყო მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. გიორგი ჯიბლაძის მოხსენებაში.

## ამხ. გიორგი ჯიბლაძის მოხსენება

— იმისათვის,—სთქვა ამხ. გ. ჯიბლაძემ,— რომ სწორი გზით წარვმართოთ მთელი ჩვენი ორგანიზაციის, თვითეული მისი წევრის მუშაობა, საჭიროა გამოვარკვიოთ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც მწერალთა კავშირის საქმიანობას ახასიათებდნენ. ამ სუსტ მხარეებზე საჭიროა გულახდილად და თამამად ილაპარაკოს ყველა ამხანაგმა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი გავითვალისწინოთ ის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელი არიან მწერალთა კავშირის მუშაობის გარდაქმნისათვის. მწერალთა კავშირის ორგანიზაციულად გამართული მუშაობა მწერალთა შემოქმედებითი გააქტივების ერთგვარი წინასწარი პირობაა. ჩვენი ორგანიზაცია მოწოდებულია ყოველ თავის წევრს შეუქმნას ყველა პირობა მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობის გამომჟღავნებისათვის.

პირველყოვლისა, უნდა გაცხოველდეს სექციების მუშაობა, დღემდე მათი დიდი ნაწილი უმოქმედობას იჩენდა. ამიერიდან სექციები სისტემატურად უნდა იკრიბებოდნენ და ყოველმხრივ უნდა არჩევდნენ და სწავლობდნენ, როგორც გამოსაქვეყნებელ, ისე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს. საჭირო იქნება სექციების ბიუროს გადახალისება, მათი შევსება ისეთი მწერლებით, რომელთაც საამისო მომზადება და მუშაობის ხალისი გააჩნიათ. სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ სომხურ და აზერბაიჯანულ სექციებს, რადგან ამ სექციების საქმიანობაზეა დამოკიდებული ურთიერთ შემოქმედებითი მიღწევების პოპულარიზაცია. საფუძვლიანად უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა მწერალთა კლუბმაც, რომელიც მოწოდებულია გააჩაღოს საქმიანობა მწერლებისა და მათი ოჯახის წევრების კულტურულ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

უნდა გაძლიერდეს მწერალთა კავშირის მასობრივი მუშაობა, უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები, როგორც თბილისში, ისე რაიონებში, სხვადასხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში. უფრო სისტემატური და გეგმიანი ხასიათი უნდა მიიცეს მწერალთა შემოქმედებით მივლინებებს როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, სადაც იჭედება ჩვენი ხალხის გამარჯვება ფაშისტ ბარბაროსებზე.

მეტი ინტერესი და გულისყური უნდა გამოვიჩინოთ ახალგაზრდა მწერლებისადმი. მათთან მუშაობა უფრო მაღალ დონეზე უნდა დავაყენოთ ახალგაზრდა მწერლები ის ძალაა, რომელსაც ლიტერატურაში ბევრი ორიგინალური და თავისებური რამ მოაქვს. ჩვენ ისინი უნდა წავახალისოთ, მაგრამ აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე და ზომიერება. არ უნდა ხდებოდეს, რომ ერთიორი კარგი ლექსისთვის ახალგაზრდებს ოვაციებს უმართავდეთ და თავზე დიდების გვირგვინს ვადგამდეთ. ასეთი გაზვიადებული დაფასება ახალგაზრდას თავის თავზე გადაჭარბებულ წარმოდგენას უქმნის, აძლევს საბაბს, თავი უკვე დასრულებულ მწერლად ჩასთვალოს და აღარ იმუშაოს, თავისი შემდგომი ზრდისათვის საჭიროა ახალგაზრდები წავახალისოთ, მაგრამ ამავე დროს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ იგი ჩამოყალიბების პროცესშია, რომ მას კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება, რათა კვალიფიციური ლიტერატორი გახდეს.

საჭიროა გაძლიერდეს მწერალთა კავშირის, ხელმძღვანელობა ავტონომიური რესპუბლიკების და ქუთაისის ლიტერატურულ ორგანიზაციებზე. სამართლიანია მათი საყვედური: მათი მუშაობა ხშირად ჩვენი კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის ყურადღების გარეშე მიმდინარეობს. ისინი სამართლიანად მოითხოვენ ჩვენგან მეტ გულისხმიერებას. მათ არც იმდენი წევრი ჰყავთ, რომ არ შეიძლებოდეს გავეცნოთ და შევისწავლოთ თითოეული მათგანის შემოქმედება. მწერალთა კავშირმა, მისმა ამა თუ იმ სექციამ განუხილავი და შეუსწავლელი არ უნდა დასტოვოს არც ერთი წიგნი, რომელიც ავტონომიურ რესპუბლიკების ლიტერატურული ორგანიზაციების სახელით თუ სანქციით იბეჭდება და ვრცელდება.

საკმაო არ არის პრეზიდიუმმა გამოიტანოს დადგენილებები ამა თუ იმ საკითხზე და მისცეს ესა თუ ის დავალება ჩვენი კავშირის წევრებს. ამასთან საჭიროა წესად შემოვიღოთ იმის შემოწმება, თუ როგორ ტარდება ეს დადგენილებები, თუ ვინ როგორ ასრულებს თავისი ორგანიზაციის დავალებებს. პრეზიდიუმი მუდამ იმის კურსში უნდა იყოს, თუ როგორ მუშაობს მწერალი, რა დაბრკოლება ელობება მას, რა დახმარებას მოითხოვს იგი. პრეზიდიუმი ამ თავის დანიშნულებას იმდენად უფრო უკეთ შეასრულებს, რამდენადაც მას მეტ დახმარებას გაუწევს კავშირის თითოეული წევრი, რამდენადაც იგი ზუსტად და პუნქტუალურად შეასრულებს ვალდებულებას თავისი ორგანიზაციის წინაშე.

## კამათი

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები სავსებით მიზანშეწონილად და აუცილებლად სცნობენ მომხსენებლის მიერ წამოყენებული ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარებას, სახელდობრ, იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ითვალისწინებენ სექციების მუშაობის გაცხოველებას, კლუბის მუშაობის გარდაქმნას, დისკუსიების მოწყობას, მწერალთა თანამშრომლობას სამხედრო პრესაში, საღამოების სისტემატურ გამართვას როგორც თბილისში, ისე რაიონების ცენტრებში, ბეჭდვითი ორგანოების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას და სხვ.

კამათში გამოსული მწერლები განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდნენ მწერალთა კავშირის მუშაობის გარდაქმნის საკითხებზე. მწერალთა ერთი ნაწილის ნაკლები აქტივობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ამხანაგებს მიაჩნიათ ის, რომ პრეზიდიუმი ინტერესს იჩენდა მწერალთა მეტად განსაზღვრული კონტიგენტისადმი. მხოლოდ ერთი და იგივე პირები იგზავნებოდნენ შემოქმედებითს მივლინებებში, მხოლოდ ერთი და იგივე პირები შედიოდნენ ფრონტზე თუ რაიონებში გასაგზავნი ბრიგადების შემადგენლობაში, ერთ და იმავე პირების შემოქმედებაზე იბეჭდებოდა წერილები.

განსაკუთრებით გულგრილი იყო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მწერალი ქალების მუშაობისადმი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მწერალი ქალი გაეგზავნათ არა თუ ფრონტზე, რომელიმე რაიონში მაინც, ან შეეყვანათ იმ ბრიგადების შემადგენლობაში, რომლებიც იგზავნებოდნენ ლიტერატურული საღამოების მოსაწყობად პერიფერიებში. ასევე ყოველგვარი მზრუნველობისა და ყურადღების გარეშე იყვნენ მწერლები, რომლებიც საბავშვო ლიტერატურის დარგში მუშაობენ და რომლებიც სხვებზე მეტად საჭიროებენ გულთბილ სიტყვას და წახალისებას. მწერლები კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ კავშირის პრეზიდიუმმა ის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩვენი ლიტერატურის შემდგომ აღმავლობას, გაავრცელოს ყველა იმ მწერალზე, რომელსაც ნიჭი და მუშაობის უნარი შესწევს. პრეზიდიუმმა უნდა იზრუნოს, რომ მწერლები გაცდენ ვიწროდ შემოფარგლულ წრეს, დაუახლოვდნენ და უშუალოდ გაეცნონ ჩვენი ხალხის ღვაწლმოსილ გრანდიოზულ მუშაობას, ხელი შეუწყოს, რომ მწერლებმა აამაღლონ თავისი ინტელექტუალური დონე, გააფართოვონ ინტერესთა სფერო, გაეცნონ და შეისწავლონ მეცნიერების და ხელოვნების სხვადასხვა დარგები, გააჩაღონ ინტენსიური მუშაობა თავიანთი ლიტერატურული კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გალაკტიონ ტაბიძემ, კალე ბობოხიძემ, სოლომონ თავაძემ, როდიონ ქორქიამ, სანდრო შანშიაშვილმა, დიმიტრი ბენაშვილმა, ნინო ნაკაშიძემ, აკაკი გაწერელიამ, ნიკოლოზ ჩაჩავამ, გიორგი ნატროშვილმა, მაიორმა ვ. ესაიაშვილმა (საფრონტო გაზეთის რედაქტორი), ილო მოსაშვილმა, სანდრო ეულმა, ვანო წულუკიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, ირაკლი აბაშიძემ, მაყვალა მრევლიშვილმა, იაკინთე ლისაშვილმა, ერემა ასტვაცატუროვმა,—დამთავრდა მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. სიმონ ჩიქოვანის სიტყვით.

## ამხ. სიმონ ჩიქოვანის სიტყვა

— მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მუშაობა,—სთქვა ამხ. ს. ჩიქოვანმა,—მეტად რთულია, რადგან მას საქმე აქვს მწერლების მრავალფეროვან მასასთან. თითოეული მწერალი თავისი საკუთარი სულიერი სამყაროთი ცხოვრობს. პრეზიდიუმი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ამ ფაქტს და განსაკუთრებული სიფრთხილითა და მზრუნველობით მოეკიდოს ყოველ შემოქმედებითს ინდივიდუალობას. პირველყოვლისა, საჭიროა ჩვენ გავაჯანსაღოთ ლიტერატურული ატმოსფერო, აღმოვფხვრათ წვრილმანობა და უპრინციპობა, რომელიც ჩვენს ურთიერთ დამოკიდებულებას ახასიათებს. მართალი არიან ის ამხანაგები, რომლებიც მოითხოვენ, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მუშაობის გაძლიერებას იმ მიმართულებით, რომ ყველა მწერალმა მოგვცეს მაქსიმუმი იმისა, რის მოცემაც მას შეუძლია. ჩვენს შორის ფრიად მნიშვნელოვანია რაოდენობა იმ მწერლებისა, რომელთაც აქვთ თავიანთი მდიდარი სულიერი სამყარო, აქვთ უნარი და ნიჭი, მაგრამ დღემდე ვერ გამოამჟღავნეს თავიანთი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, ვერ დაიკავეს თავიანთი ადგილი თანამედროვე ქართულ მწერლობაში. უკანასკნელ ხანებში გამოიცა რამდენიმე წიგნი, რომლებიც ცხადჰყოფენ მათი ავტორების უდავო ნიჭს, მათს შემოქმედებით პოტენციას, მაგრამ ამავე დროს არ ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ მათ ავტორებს აქვთ თავისი განსაკუთრებული პოეტური კუთხე. მთელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის, პირველ ყოვლისა, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა გახდეს,— გაეცნოს ასეთი კატეგორიის მწერალთა შემოქმედებითს პრაქტიკას, შეისწავლოს და გამოარკვიოს, თუ რა უშლის ამ ავტორებს გახდნენ თავისი საკუთარი ხმის, თავისი საკუთარი ადგილის მქონე შემოქმედებითს ინდივიდუალობად. პირველყოვლისა, ეს ჩვენი მხატვრული კრიტიკის მოვალეობაა, დღემდე მას ძალიან უჭირდა მწერლის თავისებურების გამოვლინება, მეტწილად იგი იყო აღწერილობითი კრიტიკა, რომელიც მხოლოდ აღნიშნავდა თუ რა იყო მოცემული ნაწარმოებში, თუ რა დადებითი ან უარყოფითი მხარე ჰქონდა მას, კრიტიკა, რომელიც ვერ ხსნიდა და ვერ ამჟღავნებდა იმ სულიერ სამყაროს, რომელიც ყოველ ჭეშმარიტ ნაწარმოებში არის მოცემული... თუ როგორ უნდა იწერებოდეს კრიტიკა, ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს იპოლიტ ტენის წერილი ბალზაკის შემოქმედებაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ როდენის მიერ გამოქანდაკებული ბალზაკი შექმნილია ამ კრიტიკული სტატიის შესწავლის შემდეგ. ტენის სტატიაში უდიდესი სიცხოვლით მოცემულია მთელი თავისებურება, მთელი სიღრმე ბალზაკის პიროვნებისა. ამით მე მინდა მხოლოდ ხაზი გაუსვა, თუ როგორი უნდა იყოს ძირითადი თვისება და საერთო ტენდენცია მხატვრული კრიტიკისა. მწერალთა კავშირი უნდა გადაიქცეს იმ კერად, სადაც უნდა ხდებოდეს მწერალთა შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლინება, სადაც უნდა იქმნებოდეს საზოგადოებრივი აზრი მხატვრულ ნაწარმოებზე. მწერლის ინდივიდუალობის გამოვლინება, მისი თვითეული ნაწარმოების შეფასება არ უნდა დარჩეს მარტო კრიტიკოსების საქმედ, მხატვრულ კრიტიკას ხელი უნდა მოჰკიდონ ჩვენმა პოეტებმა, ჩვენმა პროზაიკოსებმა და სხვა ჟანრის მწერლებმა. ერთი მეორის შესწავლა ხელს შეუწყობს ჩვენს შემოქმედებით ზრდასაც, გააძლიერებს აზროვნების უნარს, აამაღლებს კვალიფიკაციას. მხატვრული კრიტიკის დარგში ყველა ჟანრის მწერლების გააქტივება თანხმად უნდა გამოვიდეს ჩვენი გაზეთის რედაქცია, რომელიც სისტემატურად უნდა უკვეთდეს მწერლებს სტატიებს ყოველ ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებზე, სექციებმაც მწერალთა მთელი შემოქმედების ან მათი ნაწარმოების განხილვა უნდა მიანდოს არა მარტო კრიტიკოსებს, არამედ ყველა ჟანრის იმ მწერლებს, რომლებსაც საამისოთ მომზადება და სურვილი აქვთ.

თათბირი დამთავრდა ამხ. გ. ჯიბლაძის დასკვნითი სიტყვით.

გიორგი გაგუნია

# მოსე თოიძის ნახატები

უფროსი თაობის ქართველ მხატვართა უხუცეს წარმომადგენელს მოსე თოიძეს ვიცნობთ არა მარტო, როგორც ბრწყინვალე ფერმწერალს, არამედ როგორც გრაფიკის დარგის ოსტატსაც. ცხოვრების სიმართლით გამომხატველია ფანქრით, კალმით და სანგინით შესრულებული მისი რამდენიმე ასეული ფურცელი და მუყაო.

დაწყებული 1893 წლიდან დღემდე მხატვარი გატაცებით მუშაობს არა მარტო ფუნჯით, არამედ კალმითა და ფანქრითაც.



მოხუცი აჭარელი. ნახ. მ. თოიძისა.

მოსე თოიძე ქართული ჟურნალ-გაზეთების ერთი პირველი ილუსტრატორთაგანი იყო (იხ. 1893 წლის „კვალი“, ნახატები „ბერიკაობა“, „ყეენობა“ და სხვა). ნაადრევი პერიოდის ეს ნახატები ცხადია მოკლებული არიან სიმწიფეს, აქ ჯერ კიდევ არ სჩანს მარდად მოქნეული თავისუფალი ხაზი, პროპორციები მოისუსტებს და მხატვარი გემოვნებითაც სცოდავს.

1900 წლიდან მ. თოიძე უფრო მეტი ხალისით განაგრძობს ჟურნალ-გაზეთების ილუსტრატორად მუშაობას. ამ პერიოდში მხატვარმა შესანიშნავ ნახატთა სერია შექმნა (საქართველოს ეთნოგრაფიული საზოგადოებისათვის დამზადებული ალბომი „ფშავ-ხევსურეთი“—21 ფანქარი და 18 აკვარელი). აქ შესანიშნავად შერჩეული ტიპაჟის, კოსტიუმის, ავეჯის სწორად გადმოცემის გარდა გვიტაცებს ნახატების სილამაზე. ხაზი აქ თავისუფალი, ზომიერი და დინამიურია. ფიგურები ან ფიგურის ნაწილები ერთი მთლიანი ხაზის მოსმით არის დახატული, ხშირად მოდელი „ცალფა“ ხაზით აქვს მხატვარს გადმოცემული, შტრიხების დაუხმარებლად. და „ფორმა“ მაინც იგრძნობა, როდესაც ჩრდილ-სინათლის ეფექტებით დაინტერესებულ მხატვარს ნახატში შტრიხები შეაქვს, ის ზომიერებას იჩენს და ზედმეტი დეტალებით არ ტვირთავს მას. ეს უმთავრესად ითქმის ჩანახატზე, რომელიც შესრულებულია 4-5 წუთის განმავლობაში. ნახატთა ამ სერიიდან გამოირჩევა „ქვის მთლელი“, „თულუხჩი“, „ხარაზი“ და სხვა (იხ. „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება, 1914-15 წლები). ამ ნახატებში უკვე იგრძნობა, რომ მხატვარი ფერმწერალია, ის ფერადოვნებას აღწევს ჩრდილ-სინათლის ძუნწი გამოყენებით.

ასეთივე ფერადოვნების გრძნობით არის შესრულებული მისი 1925-26 წ. წ. დახატული ჭიათურის მემაღაროელთა სერია, პორტრეტებიდან კი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მეუღლის პორტრეტი. ტიპებიდან მეგრელი და გურული კოლმეურნეები და სხვა. მოსე თოიძემ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთშიაც იმოგზაურა, საიდანაც ჩამოიტანა ადგილობრივ მკვიდრთა მრავალი საინტერესო ჩანახატი.

მოსე თოიძე დრო და დრო ხატავს ძველი თბილისის ტიპებს, თავდახურულ ქალებს — ძველი თბილისის ფონზე. იგი ქარხნების ხშირი სტუმარიცაა და ხატავს წარჩინებულ სტახანოველ მუშებს. მიდის ბაზარში და ჩამოსულ კოლმეურნეთა ჩანახატებითავსებს თავის ალბომს. პორტრეტებში მხატვარი ცდილობს გადმოგვცეს არა მარტო მსგავსება, არა მარტო ნაციონალური კოსტიუმი და სხვა ატრიბუტები, არამედ რაც მთავარია, მოდელის ხასიათი, სულიერი განცდა. ზოგ პორტრეტებზე თქვენ გრძნობთ მოდელის სიმკაცრეს, ზოგში—გულღია და მომღიმარ სახეს. სწრაფად დახატულ პორტრეტშიაც კი ცდილობს მხატვარი, გამოხატოს ნატურის სულისკვეთება და ხასიათი. მოსე თოიძის კალამი ფაქიზი და მოხდენილია, უმეტეს შემთხვევაში მუშაობს ლაქის დადებით და გატაცებულია ყოველთვის ჩრდილ-სინათლის ეფექტებით (ასეთია „შოთას მოლოდინი ბაღში“, „ძველი თბილისი“, „ახალი თბილისი“ და სხვა).

უკანასკნელი პერიოდისათვის დამახასიათებელია კოლმეურნეთა და სტახანოველი მუშების ჩანახატები და პორტრეტები, რომელნიც შესრულებული არიან მხატვრის განუყრელი ფანქრით „ნეგრო“-თი. მოსე თოიძის ნახატებში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გიხიბლავს მხატვრის გულწრფელობა. მისი რეალისტური ნახატი ღლსავსეა დახელოვნებული მხატვრის ოსტატობით და რაც მთავარია ყოველი ნახატი ადვილად გასაგებია მნახველისათვის.



ლეჩხუმელი კოლმეურნე. ნახ. მ. თოიძისა.



სვანი კოლმეურნე. ნახ. მოსე თოიძისა.



გურული კოლმეურნე ნახ. მოსე თოიძისა.

კალე ბობოხიძე

# მაისის ქუთაისო!

მზიურო ქუთაისო, ოცნებაო გულისა,
გაზაფხულთ მაისის, სიყრმის, სიხარულისა
იცი, გული აივსო სიყვარულის ნექტარით,
შენ მანახე დღეები—სიყმაწვილე ნეტარი!
ნათელი და ბრწყინვალე, როგორც შენი აისი,
როგორც შენი ლაჟვარდი, როგორც შენი მაისი!
დღესაც ისევ გიგონებ, ხარ ფიქრები ბავშვობის
სიყვარული იმ დღეთა შენით არის ნაშ ბი!
მზედარო ქუთაისო, ოცნებაო გულისა,
ანთებულო მაისო—სიყრმის, სიყვარულისა!
ბაღნარო და ყანებო, საოცნებო ზვარებო,
ნანგრევებო ბაგრატის, წინაპართა ზარებო,
გულმღელვარე რიონო, მწვანე მთებო გელათის, —
საყვარელო ქალაქო, შენ გაწრთობდა ბელადი!
წულუკიძის აკვანო, დიდ არწივის სამყოფო,
დიად ბრძოლის მოწამევ — გამარჯვების ნაყოფო!
თვალწარმტაცო წიალო — იასამნის, იების,
ჩვენთვის შვების მთესველო, მტრისთვის—შურისძიების!
სული შენსკენ ისწრაფის, გულს მოჰფინე სიამე,
მახარებდენ ალერსით ვარდები და ია მე!
აისის ქუთაისო, ოცნებაო გულისა,
იმედების მაისო—უჭკნობ სიყვარულისა!...

# „მარტი - აპრილი“

## ახალი მხატვრული კინოფილმი

ამჟამად მოსკოვის კინოთეატრების ეკრანზე უჩვენებენ კინოსტუდიის „სოიუზდეტფილმის“ მიერ გამოშვებულ ახალ მხატვრულ კინოსურათს, რომელსაც ეწოდება „მარტი-აპრილი“ და რომელიც აგებულია ვ. კოჟევნიკოვის ამავე სახელწოდების მოთხრობის სიუჟეტზე. როგორც მოთხრობის ისე ფილმის მთავარი ღირსება, — მოსკოვის პრესის შეფასებით — ისაა, რომ მათში ოსტატურადაა გადმოცემული ორი საბჭოთა პარაშუტისტის—კაპიტან ჟავორონკოვის და რადისტი ქალის ლუბა მიხაილოვას გმირული საქმეები. ასახულია მათი შინაგანი სამყარო, მათი ფსიქოლოგიის, მათი პირადი ურთიერთობის რთული ვითარება.

ფილმის შინაარსი ასეთია: ხასიათით გულჩათხრობილმა კაპიტანმა ჟავორონკოვმა დიდი ტრაგედია განიცადა: გერმანელმა ჯალათებმა მოჰკლეს მისი ცოლი და ბავშვი. კაპიტანი გაურბის ამაზე ლაპარაკს. მას არ სურს, რომ მისმა ამხანაგებმა და სადესანტო სკოლის მისმა მოწაფეებმა ახსნან მისი უშიშრობა და უკიდურესი სიძულვილი მტრისადმი მხოლოდ და მხოლოდ პირადი შურისძიების გრძნობით, მისთვის მთავარია მოვალეობის შესრულება სამშობლოს წინაშე. ჟავორონკოვი შეხვდება ახალგაზრდა ქალს ლუბა მიხაილოვას, ჟავორონკოვს ეს ქალი იმის გამო, რომ იგი თითქოს განებივრებული და განაზებული არსებაა, შეუფერებლად მიაჩნია ისეთი სახიფათო საქმისათვის, როგორიცაა დესანტელ პარაშუტისტის მუშაობა. ლუბას გატაცებული სურვილი საპარაშუტო სადესანტო სკოლაში შესვლისა, ამ რთული სამხედრო პროფესიის დაუფლებისა ჟავორონკოვს მიაჩნია მხოლოდ რომანტიულ დაჟინებად, არა სერიოზულად. მაგრამ იგი სცდება. ლუბას სინაზე მისი ხასიათის მხოლოდ გარეგნული მხარეა, ნამდვილად იგი მთლიანი, ვაჟკაცური ბუნების ახალგაზრდა ადამიანია, იგი იმ მილიონი პატრიოტი საბჭოთა ქალის ის ტიპიური წარმომადგენელია რომლებიც მზად არიან შეეწირონ სამშობლოს თავისუფლებას, როგორც ფილმში, ისე მოთხრობაში, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს გმირობა ლუბასი, რომელიც უყოყმანოდ ხდება ორიენტირად მტრის აეროდრომზე საბჭოთა ბომბდამშენების დამიზნებისათვის.

როგორც პრესა აღნიშნავს, ამ ფილმს აქვს მნიშვნელოვანი დეფექტები, მაგრამ იგი მაინც ასრულებს უაღრესად დადებით როლს—მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს საპარაშუტო სადესანტო სკოლაში შემოღებულ სწავლის მეთოდზე, ამ მეტად წარმტაცი გმირული სამხედრო პროფესიის თავისებურებაზე, დესანტელი პარაშუტისტების საარაკო ვაჟკაცობასა და თავდადებაზე.

ნატალია ტოლმაჩევსკაია

# ქართული პორტრეტული ფერწერა

## წერილი მეორე

საქართველოში პორტრეტული ფერწერის ხანგრძლივი გზა პარალელურად მისდევდა კედლის ფრესკული ფერწერის განვითარებას და ემყარებოდა იმავე პრინციპებს — მონუმენტალობას და დეკორატიულობას, რომელთაც შექმნეს ძველი ქართული კედლის დეკორატიული ხელოვნების სიდიადე. ყოფა-ცხოვრებითს პორტრეტთან ერთად, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრების მოვლენებს ასახავს, ვითარდება შემოქმედებითი პორტრეტი, სადაც ბუნებრივად მოცემული თვისებები ეხამებიან მხატვრის ფანტაზიით წარმოსახულ თვისებებს, ასეთ პორტრეტს ტიპიური პორტრეტი შეგვიძლიან ვუწოდოთ. ამ შემთხვევაში მხატვარი სარგებლობს წინა თაობების მიერ შექმნილი ნიშანდობლივი თვისებებით.

უძველეს ძეგლთა შორის საქართველოში ამგვარი პორტრეტის შესანიშნავი ნიმუშები მოიპოვებიან, გორის რაიონის სოფ. ატენში ძველი ტაძრის კედლებზე ნაწილობრივ შემონახულია X საუკუნის მხატვრობა. აქ „მამხილებელი წყლის“ კომპოზიციის ფრაგმენტებში მთელ რიგ საუცხოვო გამოსახულებათა შორის გამოირჩევა მღვდელმთავრის სახე. კომპოზიციის თემას შეადგენს აპოკრიფული თქმულება მარიამის მეუღლეზრივი ერთგულების გამოცდის შესახებ მამხილებელი წყლის საშუალებით: თუ მარიამი ცოდვილია, ის მოკვდება რაწამსვე შესვამს ამ წყალს.

მოხუცი მღვდელმთავარი მკაცრად, გამახვილებული ყურადღებითა და გამჭვალავი თვალით შეცქერის ქალს, რომელიც გულდამშვიდებული ეწაფება სასწაულმოქმედ წყალს. ტრადიციული ტიპი მღვდელმთავრისა, რომელსაც წინასწარმეტყველთა ქუდი ჰხურავს, განსაკუთრებული ოსტატობით და მეტყველებით არის შესრულებული. მხატვარს ეს გამომეტყველება გადმოცემული აქვს არა სახის კუნთების შეკუმშვის ასახვის საშუალებით, როგორც ეს თანამედროვე მხატვრობაშია მიღებული, არამედ წარბებისა და ქუთუთოების რაღაც შეუმჩნეველი მოხრის საშუალებით. სახის კუნთები, სახის ამეტყველებაში მონაწილეობას არ იღებენ.

აქ უნდა შევჩერდეთ ქართული ფრესკის შესანიშნავ ნიმუშებზე. საკმაოა აღვნიშნოთ ორი-სამი მათგანი, რომელნიც მაღალ-მხატვრულ მიღწევას წარმოადგენენ. კედლის ფერწერის ასეთი საუკეთესო ნიმუშთაგანია იოანე ოქროპირის თავი სოფ. ყინწვისის XII საუკუნის მხატვრობაში. თამარ მეფის დროის ძველი ეკლესიის კედლებზე, რომელიც განმარტოებით სდგას ტყეში. დაცულია ძველი მხატვრობის შესანიშნავი ნაშთი, მომწვანო-მოლურჯო ფერებით გადმოცემული. საკურთხევლის ნიშში წმინდანთა მთელი რიგია, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეტად მარტივად გამოსახული იოანე ოქროპირის სახე, სახის ნაკვთები იოანეს თითქმის უწყვეტი ხაზით აქვს შემოვლებული; თითქოს უმნიშვნელო უნდა იყოს ასეთი გამოსახვა, მაგრამ ოსტატი ამ მარტივი ხერხებით ჰქმნის ისეთ სახეს, რომელსაც მნახველი ვერ დაივიწყებს, რამდენად კარგად არის გადმოცემული ყოველდღიურობისაგან გაწმენდილი სახის გამომეტყველება და იმდენად ნატიფად და ნაზად არის შესრულებული მწერალ-ფილოსოფოსის ნაკვთების გადმომცემი ხაზები.

შესანიშნავია აგრეთვე მწყემსი გლიკერის ტიპი XIII ს. უბისის მხატვრობაში. ეს სახე უთუოდ უკავშირდება „შობა“-ს ცნობილ კომპოზიციაში მოცემული მაცდური მწყემსის სახეს. იგი წარბებქვეშიდან მეფისტოფელისებური გამომეტყველებით შესცქერის წმ. გიორგის, თითქოს ეუბნება: „თუ წმინდანი ხარ, გააცოცხლე ჩემი ძროხა“-ო. სახის ტიპის მიხედვით იგი ანტიკური ფავნია— პატარა რქებიც კი ემჩნევა თმების ხვეულებში.

XV საუკუნემ, როგორც პოლიტიკური გასაჭირისა და სახელმწიფოებრივი რღვევის ხანამ, არ დაგვიტოვა მონუმენტური და მასთან ერთად პორტრეტული ფერწერის ძეგლები. მაგრამ XVI საუკუნეში, როდესაც ქართული კულტურა განახლების გზას დაადგა, ქართული პორტრეტის ფერწერაც გარდატეხას იწყებს. ამ ხანაში უკვე სავსებით ჩამოყალიბდნენ ნაციონალური სკოლის თავისებურებანი. ამ სკოლისათვის მეტად დამახასიათებელია განსაკუთრებული დაინტერესება პორტრეტით. წმინდანთა სახეები მთლად იჩრდილებიან ქტიტორთა, მდიდარსახიან ტანისამოსში წარმოდგენილი ფიგურებით, რომელთაც ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ეკლესიის კედლებზე. ეკლესია ვეღარ იტევს ყველა პორტრეტულ გამოსახულებას, ისინი თანდათან გადადიან ეკვდერში, სადაც ერთგვარ პორტრეტულ გალერეებს ჰქმნიან. ამ დროის ეკვდერები სავსეა პორტრეტული გამოსახულებებით.

აქ ოსტატი აღარ არის შეზღუდული მკაცრი დოგმატიური ხასიათის მხატვრობის ნიმუშთა სიახლოვით, იგი მეტ გასაქანს აძლევს თავის მისწრაფებას სინამდვილის ასახვისადმი და გატაცებას ნაციონალური კოსტიუმით და ნაირსახეობით. ეხლა ოჯახურ ჯგუფებს უფრო ინტიმური ხასიათი აქვთ, გვხვდებიან ბავშვების ფიგურებიც. სოფ. წალენჯიხში XVI ს. ერთ-ერთ ეკვდერში საყურადღებოა ამ დროისთვის მეტად მოულოდნელი და უჩვეულო მოვლენა—იუმორის ელემენტი პორტრეტში. ასეთია მთავარი მზარეულის გამოსახულება, ვიღაც წარჩინებული ოჯახის სურვილით ეკვდერში მოთავსებული. ის წარმოდგენილია თვლებით შემკული მაღალი ქუდით და საკიდურებიანი საყურეებით. მას უჭირავს თავისი პროფესიის ატრიბუტები—ჩამჩა-ქაფქირი. იუმორისტული ელემენტი შეაქვთ შესიებულ ლოყებსა და მოთეთრო ზოლებს კისერზე მეტი სიმსუქნისაგან გაჩენილი ნაკეცების აღსანიშნავად.

ასეთი ჟანრული წვრილმანების გადმოსაცემად ხატთამწერლობის ტრადიციულ ფორმებს მაგალითი არ მოეპოვება და ეს ცდა ნაციონალური სკოლის დამოუკიდებლობის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

XVI საუკუნის პორტრეტისათვის დამახასიათებელია პირისახის გადმოცემის სიმარტივე. სახის ნაკვთები მოხაზულია ერთი უწყვეტი ხაზით, რომელიც მათ ერთფეროვან ზედაპირზე გამოსახავს. შევარდისფერებულია ლაწვების შუაგული ადგილი და არა მათი ქვედა ნაწილი, როგორც ამას წინათ სჩადიოდნენ.

ქართული ნაციონალური პორტრეტისათვის, გარდა წალენჯიხის ეკვდერისა, დამახასიათებელია აგრეთვე XVI ს. პორტრეტული გამოსახულებანი მარტვილში. ესენი უმთავრესად წარმოადგენენ მთელი სიმაღლით პირდაპირ მდგარ ცოლ-ქმარს შვილებით. კარგია ქალების ტიპები, თუმცა მათ ერთფეროვნება ახასიათებთ. მოქნილი ხაზი გვაძლევს ლაკონიურ ნახატს და თამამად გადმოგვცემს ნაკვთებს ახალგაზრდა სახისას მოგრძო თვალებით და გრძელი შავი ნაწნავებით. ეს ნაციონალური ტიპია, ნაციონალური სკოლის ხერხებით შესრულებული.

XVII საუკუნე საქართველოში მონუმენტური ფერწერის დაქვეითების და ძველი მაღალი ტრადიციების მივიწყების ხანაა, ესაა ფორმის უმწეო ძიება დაკარგული სტილის აღსადგენად; ხაზი მძიმდება და ტლანქდება, უხეში რუხი ფერები სცვლიან უწინდელ მსუბუქ სხივოსან ფერებს. სჭარბობენ ჯუჯა, დიდთავიანი ფიგურები. შეიძლება ითქვას, რომ ყველა მონუმენტური გამოსახულების შორის მხოლოდ პორტრეტულმა სახეებმა შეინარჩუნეს ნაწილობრივ ნაციონალური სკოლის ელფერი. ამ პერიოდში პორტრეტული ფიგურები შედარებით გამოირჩევიან დანარჩენ გამოსახულებათაგან თავიანთი მხატვრული შესრულებით.

რომ შევადაროთ XVII საუკუნის ხონის ტლანქი, უცნაურად ორნამენტირებული გამოსახულებანი ან იმავე საუკუნის ხობის ჯუჯა, დიდთავიანი ან კიდევ მცხეთის ტაძრის უფორმო, უთვალადო ფიგურები იმავე ტაძრის პორტრეტულ სახეებს, დიდ განსხვავებას დავინახავთ.

მცხეთის ტაძარში, სვეტის მარჯვენა მხარეზე, გამოსახულია ტაძრის დარღვეული გუმბათის განმაახლებელი მარიამ დედოფალი, ის სდგას, საკურთხევლისაკენ პირმიმართული, ძვირფას, მდიდრულ მოქარგულ ტანისამოსში, მანტიითა და გვირგვინით, მსხვილი მარგალიტის მძივით სახეშემკული, მას ხელი ჩაუკიდნია პატარა ვაჟის ოტიასთვის. დედოფლის მრგვალი, ვარდისფერი წვრილ ნაკვთებიანი სახე არ არის კარგად დაცული, ბავშვის სახე, კი კარგად შენახულა და ადასტურებს ოსტატის მხატვრულ გემოვნებას და სტილის გრძნობას. ბავშვს, რომელსაც ყურებამდე თმა აქვს ჩამოშვებული, საყურეები ამშვენებს და დიდი ბერეტი ჰხურავს ბავშვის თავი ნახატის ხასიათით და მაღალ კისერზე თავის მოყვანილობით იტალიური რენესანსის თავებს მოგვაგონებს.

XVII საუკუნით სრულდება ძველი ქართული ხელოვნების ხანა.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი. XVIII საუკუნეში ქართული

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

# „სირანო დე-ბერჟერაკ"

## რუსთაველის თეატრის ახალი დადგმა

[illegible]



სირანო დე-ბერჟერაკ—აკაკი ხორავა



როქსანა — ალ. თოიძე.



დე-გიში—აკაკი ვასაძე

შალვა ქვასხვაძე

# ქართული გრაფიკის ოსტატი

ძილგამკრთალ ღამეებში ქართველი ოსტატები თაფლის სანთლის შუქზე სწერდნენ და ამკობდნენ ქართულ ხელთნაწერებს, კალიგრაფიისა და ორნამენტურ მოტივთა სასწაულებრივ ნიმუშებს, რომელთაც ჩვენს დრომდე მოაღწიეს.

ძველი ქართული სახვითი ხელოვნების უჩვეულოდ მდიდარ ტრადიციას, გრაფიკის დარგში მე-XIX საუკუნე მხოლოდ ცალკეული სახელებით ეპასუხება; ჩვენში გრაფიკა, — წიგნის ფურცლის გააზრებულ სამკაულიდან და მის ორნამენტალობიდან მე-XIX საუკუნემ წიგნის შინაარსის თხრობად აქცია. ის, რაც ადრე წიგნში შედიოდა, როგორც მისი დეკორირება და როგორც სამკაული მთლიანისა, ან როგორც სიმბოლო, და ფი-



ლოსოფიური თუ ფსიქოლოგიური დაკვირვება, — შემდეგში დაზგური მხატვრობის, — ფერწერითი მანერის გაბატონებით შეიცვალა.

ძველს ქართულ სახვით ხელოვნებაში ორი ძირითადი ტენდენცია იყო: პირველი მონუმენტური, მასებისათვის ნავარაუდევი ხელოვნება, — კედლის მხატვრობა, დაზგური — ხატმწერლური ნიმუშების სახით, ხოლო მეორე უფრო კამერული, უფრო ინტიმური და სამკაულებრივი.

ქართული ხელთნაწერი ინდივიდუალური გზნების ნაყოფია და განკუთვნილია ინდივიდუალური მოხმარებისათვის, იგი შემკულია მინიატურებით და დეკორირებულია.

მე-XVIII საუკუნის ბოლოსა და მე-XIX საუკუნის დასაწყისში ხელნაწერთა რაოდენობა თვალსაჩინოდ შემცირდა და ნაბეჭდი წიგნის დამკვიდრების გამო თითქმის გადაგვარდა. გაქრა წიგნის დეკორირების და გრაფიკული ხელის დიდი კულტურა. კალიგრაფიული ხელი სტანდარტულმა შრიფტმა შესცვალა.

ჩვენში გრაფიკული ხელოვნებისათვის საჭირო კერის შექმნა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მას საფუძველი საქართველოს სამხატვრო აკადემიაში ჩაეყარა.

ლადო გრიგოლიამ მხატვრისათვის საჭირო ცოდნა-ჩვევა აკადემიაში მიიღო.

გრიგოლიას შემოქმედება მთლიანად გაჟღენთილია ძველი ქართული სახვითი ხელოვნების სახეებითა და სურნელით; მას ხელოვნებაში მკვეთრი სახეები აღელვებს. მისთვის პორტრეტი მთლიანი პიროვნების, (გარეგანისა და შინაგანის) ხასიათის გამოვლენაა, იგი წარმოქმნაა სახისა შავისა და თეთრის მეშვეობით. წიგნის დეკორირებისას მისთვის უმთავრესია წიგნის მთლიანობა, ხოლო Ex libris-ში — კი ვინაობისა და გემოვნების ჩვენება.

გრიგოლიას შემოქმედება ერთის მხრივ მოიცავს ქანდაკების სფეროს, ხოლო მეორე მხრივ კი გრაფიკას. მიუხედავად ამისა, თავის შემოქმედებაში იგი მონოლიტურია. ეს აძლევს მას თავისებურ ხასიათს და ესევე აცალკევებს სხვებისაგან.

გრიგოლია პორტრეტს ჰქმნის არა ამსიტყვის ტრაფარეტული გაგებით, იგი იკონოგრაფიულ (თუ ნატურა არაა) მასალას ყოველთვის უფარდებს იმ შეხედულებასა და განწყობას, რომელიც მას, როგორც მხატვარს გამოუმუშავდა გამოსასახავ ობიექტზე. მხატვრის მიერ გაკეთებული პორტრეტები ადამიანის ყოველი მხრივ შესწავლაზეა დამყარებული, აქედანაა გრიგოლიას თავისებური ლოკალურ-გრაფიკული მანერაც; ეს მანერა, ისევე როგორც საერთოდ, უარყოფაა ნატურალისტური ფერწერითი მანერისა; მისთვის პორტრეტი უფრო ფსიქოლოგიური ეტიუდი — დაკვირვებაა ესაა მხატვრის შეხედულებანი, განშუალებული ეპოქისა და იმ ადგილის მიხედვით, რაც ისტორიული ასპექტით შეესაბამება გამოსახულ პირს.

გრაფიკში ცნობილია ორი გზა: პირველი — დაზგური გრაფიკისა, ხოლო მეორე — სამკაულებრივი, პირველი თავისი ხასიათით დაზგურ ფერწერას უახლოვდება, ხოლო მეორე დეკორატიულს. პირველი უფრო ფართო დიაპაზონისაა, მეორე კი განკუთვნილია წიგნისათვის და მისი დეკორირება ეკისრება.

გრიგოლია გრაფიკოსი ორსავე დარგში მუშაობს. მისთვის პორტრეტი, — პლასტიურში გამოვლენილი განწყობა — ხასიათია, განზოგადოების გზით ფსიქოლოგიურ პორტრეტამდე აყვანილი. გრიგოლიასათვის ხაზი და ლაქა ინტენსიობისა თუ ელფერის მნიშვნელობით მუსიკალურის თანაბარი მომენტია. მხატვარი „დიდი მოურავის" პორტრეტში. — ეყრდნობა რა კასტელის ნახატში შემონახულ ფიზიოგნომიკურ ნიშნებს — პორტრეტს სწორკუთხედ კომპოზიციაში სწერს. ესაა პორტრეტი — ხასიათი, იგი თითქოს დროისა და სივრცის ჩარჩოდან გვიცქერის; ამის შთაბეჭდილებას მხატვარი სწორკუთხ ჩარჩოში პორტრეტის მარჯვნივ გადაწევით ჰქმნის; შთაბეჭდილებას განსაკუთრებით ჩარჩოთი გადაკვეთილი თავსაბურველი აძლიერებს და იმავ დროს კომპოზიციურად ჰკრავს პორტრეტს. ქვემოთ, სწორკუთხედის მარჯვენა კუთხეში მოქცეული ტექსტი, — წარმოდგენილი შავი ლაქის სახით, — მარცხენა ზემოკუთხის მთლიან თეთრ ლაქას ესიტყვება და აწონასწორებს. აგზნებული, მაგრამ დაჯერებული ხელით მოსმული ხაზები, რაც ალაგ-ალაგ ლაქაში გადადის და რაც ასახვის თვალსაზრისით სქემატიზმს შორდება, პორტრეტს რეალისტურ ტრაქტოვკას აძლევს. პორტრეტში ჩანს გმირი და ვაჟკაცი, სამშობლოსათვის თავდადებული, ბედისაგან განწირული ადამიანი; ესაა სააკაძე ვერაგ თანამემამულეთაგან განდევნილი, მაგრამ მაინც სამშობლოსათვის თავდადებული. მხატვარი ამ პორტრეტში, თეთრის შავთან შეპირისპირებით წინა პლანზე სწევს სააკაძის ხასიათის ძირითად მომენტს: დიდი მოურავის მიერ ბედის წინააღმდეგ ჯანყსა და გაბრძოლებას. ამ გაგების ვარიაციას წარმოადგენს იოსებ თბილელის „დიდი მოურავის" ყდისათვის შესრულებული, წრეში ჩაწერილი პორტრეტული კომპოზიცია, სადაც პორტრეტიც და ტექსტიც წრის კომპოზიციაზეა დაქვემდებარებული.

შემდეგ აღსანიშნავია ქართული რეალისტური თეატრისა და დრამატურგიის ფუძე-



მდებლის — გიორგი ერისთავის პორტრეტი. ერისთავის სახე წარმოდგენილია დრამატურგისა და თეატრალის ნიღაბის პლანით. ამ ქართველი კომედიოგრაფის შემოქმედებისა და ბუნების ქარაქტეროლოგიის გამოსავლენად, მხატვარი პორტრეტს ბერძნული ტრაგიული ნიღაბის ნიუანსით აკეთებს, თითქოს და ამით ხაზს უსვამდეს ერისთავის კომედიების დედაარსს. ეს პორტრეტი, დიდი ფსიქოლოგიური სიღრმითა და ცოდნით გააზრებული ნიღაბია. მასში წარმოდგენილ თეთრისა და შავის კონტრასტულ დაპირისპირებისას წამყვანი ხმა თეთრ ლაქას აქვს მიკუთვნებული.

სულ სხვაგვარადაა [illegible] გრიგოლ ორბელიანის პორტრეტი, [illegible] პოეტ რომანტიკოსისა. [illegible] გამოხატული თავი თითქოს წარსულისკენაა მიმართული. პოეტის ხედვა გარდასულ დროსა და სივრცეებს სჭვრეტს. პოეტის ოცნებით გამთბარ და საკმაოდ რბილ გამოხედვაში ფარდა ეხდება წარსულს და იქცევა სიცოცხლედ. ესაა პორტრეტი, — აღსავსე დიდი რომანტიკული პოეზიის არომატით. მისგან გვეფრქვევა გრიგოლ ორბელიანის პოეზიის ყვავილების სურნელება. პორტრეტში გამოსახულია მოხუცებაში შესული პოეტი იმ



სიცოცხლითა და განწყობით, რაც პოეტს მთელმა მისმა ცხოვრებამ და ყოფამ შეუმუშავა. პორტრეტიდან ისმის სევდით შეფერილი, ლირიული ხმა „იარალისა". თითქოს მოხუცი პოეტი სინანულით იმეორებდეს: „ჩემო იარალი, ნეტავ ოდეს ლხინით აღვსილნი ვსხდეთ ველსა მწვანეს", მხატვარს პორტრეტში შეაქვს ჭმუნვაც: „ცა მშვენიერზე, ცა მშობლიურზე". მხატვარი პორტრეტს იმ განწყობას უქვემდებარებს, რაც პოეტს თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში უნდა ჰქონოდა.

ხორცშესხმული სევდა და მწუხრი, თითქოს მოგონებით განათებული, ასეთია მხატვრის მიერ გამოსახული პოეტ გრიგოლ ორბელიანის სახე.

გრიგოლიას მიერ შესრულებულ პორტრეტთა სერიაში განსაკუთრებით თავისებურია ვლ. მესხიშვილის პორტრეტი. ამ პორტრეტში მხატვრის მთავარი ამოცანაა მსახიობისათვის დამახასიათებელ ინტიმურ მომენტზე ხაზგასმა და თვით სახის (Образ) ღრმა ადამიანური ნიუანსით გადმოცემა. მხატვრის მიზანს შეადგენს გამოსახოს ეს დიდი მსახიობი, როგორც გამხსნელი შექსპირის შემოქმედების ისეთი ტრაგიკული სახისა, როგორიცაა ჰამლეტი.

ესპანელი დიდი რევოლუციონერი ქალის და მგზნებარე ტრიბუნის დოლორეს იბარურის პორტრეტი, — იმ მანერის გამო, რომლითაც იგი შესრულებულია, ძალზე რბილი და ნაზი პორტრეტის შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს მომენტი მხატვარმა კარგად გადმოგვცა, მაგრამ ამავე დროს პორტრეტში დაჩრდილულია და ვერ იგრძნობა შეუდრეკელი და მტკიცე რევოლუციონური ბუნების ადამიანი; ამიტომ ეს პორტრეტი მხატვრის მიერ შესრულებულ სხვა პორტრეტებთან შედარებით სუსტი და ნაკლებ მნიშვნელოვანია.

არა ნაკლებ საინტერესოა გრიგოლია, როგორც წიგნის გრაფიკოსი. მხატვარი წიგნის მთლიანი დეკორირების ამოცანიდან გამოდის: იგი დიდ გემოვნებას, ალღოსა და ცოდნას გვიჩვენებს, რასაც მისი „ქართული წიგნის", „აკაკი წერეთლის თხზულებათა" საიუბილეო გამოცემის და სხვა მრავალი წიგნის გაფორმება ადასტურებს. ასევე ორნამენტულობა უდევს საფუძვლად მხატვრის მიერ შესრულებულ Ex libris-ებს; თვით მხატვრის Ex libris-ს, რომელიც აგებულია მკაცრ სიმეტრიულ კომპოზიციაზე, ახასიათებს მონუმენტობა და მაღალი გრაფიკული გემოვნება, მაგრამ გრიგოლია, როგორც წიგნის გრაფიკოსი ცალკე თემაა და თანაც საკმაოდ ვრცელი.

გივი გაჩეჩილაძე

# ბაირონი

## (გარდაცვალებიდან 120 წლისთავის გამო)

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა შორის არიან ისეთნი, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ არა მარტო შემოქმედების დამთავრებულობით და სტილის მთლიანობით; მათი მგზნებარე გენია ყველა დროის და ყველა ქვეყნის ადამიანებს თანაბრად აღელვებს. მათს ტიტანიურ შემოქმედებაში ძლიერ ბევრია ზოგად ადამიანური და ყველასათვის მახლობელი. ამგვარ გენიათა რიცხვს ეკუთვნიან შექსპირი, შელლი, ბაირონი. უაღრესად ნაციონალური, ეროვნული კულტურის საუკეთესო თვისებათა გამომხატველნი, ისინი იმავე დროს შეიცავენ ისეთ თვისებებს, რომ მათი შემოქმედება ორგანიულად გასაგები ხდება მთელი კაცობრიობისათვის. ამიტომ გრძნობდა ჩვენი ილია ჭავჭავაძე თერგივით მქუხარე და მშფოთვარე ბაირონს, რომელმაც დასძლია შინაგანი წინააღმდეგობანი და, ოდესღაც ამაყმა, დემონიურმა ინდივიდუალისტმა, პატარა ქვეყნის თავისუფლებისათვის დასდო თავი.

ასოცი წლის წინ შეწყდა ბაირონის გულისცემა, მაგრამ მისი დიდი ხმა, ძველი კულტურის მქონე პატარა ერების თავისუფლებისათვის ამაღლებული, დღესაც ისე გაისმის, როგორც ასოცი წლის წინათ. პატარა საბერძნეთი, უცხოელი დამპყრობლის ქუსლით გათელილი, დღესაც მოიგონებს სამშობლოდან დევნილ დიდ ინგლისელს, რომელიც ადამიანის თავისუფლებისადმი სიყვარულის სახელით იღვწოდა საბერძნეთის გამოსახსნელად ოსმალეთის ჩაგვრისგან.

„კაცობრიობის სიკეთისთვის ვინც ილტვის
იგი მარადის ჩაითვლება კეთილშობილად.
ეგ სულერთია ვისი იხსენ თავისუფლება
და შენი სახე დადაფნული ვისთვის
ყოფილა".

რევოლუციონერი დემოკრატის კეთილშობილი ჰუმანიზმი და რაინდული ამბოხება მოისმოდა ბაირონის ყველაზე უფრო ინდივიდუალისტურ განწყობილებაშიც კი.

ბაირონი ბავშობიდანვე აუჯანყდა ძველ არისტოკრატიას, თუმცა მასთან ბევრით იყო დაკავშირებული, წარმოშობის გარდა. მაგრამ ნიუსტედელი ლორდების შთამომავალს სძულდა ახალი ცრუმორწმუნე ბურჟუაზიაც, ინგლისის პოლიტიკურ სინამდვილეში არისტოკრატიასთან შესისხლხორცებული. იგი მთელ სიცოცხლეს ოცნებობდა პოლიტიკურ კარიერაზე, მაგრამ კონსერვატორ ტორებსაც ებრძოდა და ლიბერალ ვიგებსაც. რობესპიერიც უყვარდა, ლაფაიეტიც და მირაბოც, მაგრამ ნაპოლეონის სიყვარული პიროვნების კულტამდე მიიყვანა. არისტოკრატიულ თავაწყვეტილ ცხოვრებას არაფერი ერჩია. საგვარეულო ციხედარბაზი, ლონდონის უმაღლესი სალონები და ვენეციის სასახლეები მის ფრივოლურ თავგადასავალს კარგად იცნობდნენ, მაგრამ იმავე დროს ბაირონი ინგლისის პარლამენტში მუშების ინტერესებს თავგამეტებით იცავდა, იტალიელ კარბონარიებს ამხედრებდა დამპყრობელი ავსტრიის წინააღმდეგ და ბერძნების განთავისუფლებას მთელი ქონება და სიცოცხლე შესწირა. არ შეეძლო ტირანიის ატანა, სძულდა ყოველგვარი ყოფითი ცრუმორწმუნეობა და სიყალბე. და თუმცა ხშირად არ სჯეროდა პოლიტიკური ბრძოლის პრაქტიკული შედეგი, მაინც მისთვის მთავარი იყო თავისუფლების სული, რომლითაც სუნთქავდა პოლიტიკური ბრძოლა. იგი ასე მიმართავდა თავისუფლებას:

„მარადო სულო თავისუფლად მქროლავი
აზრის!
შენი სადგური მუდამ არის ხალხისა გული
. . . . . . . . .
როცა შენს შვილებს შებორკავენ—იხშობა
კარი,
ნესტიან თაღებს ქვემოთ სთვლემენ ბნელში
მჯდომარე.
მათი წამებით გაიმარჯვებს სამშობლო
მხარე,
თავისუფლების სადიდებლად ფრთას
გაშლის ქარი.
ეგ შენი ციხე, შილიონო, არის ტაძარი,
ეგ ქვითფენილი იატაკი—საკურთხეველი,
მანდ აღბეჭდილა ბონივარის ქვალი საზარი,
როგორც მიწაზე, ნაბიჯები დაულეველი.
ვერავინ წაშლის! იმათი ხმა ხუზარმაზარი
ამ ტყვეობიდან ღმერთს მიმართავს, ხმა
უძლეველი".

ბაირონი ნამდვილი ჰელლინი იყო არა მარტო იმიტომ, რომ სახით და აღნაგობით გავდა ნათელ აპოლონს. ფიზიკური ვარჯიში, ცხენოსნობა, სროლა, ნაოსნობა, ცურვა მას ისე უყვარდა, როგორც ძველ ბერძნებს.

თანამედროვეთათვის ბაირონი დიდი ადამიანი იყო. შთამომავლობისათვის იგი იქცა დიდ რომანტიკოს პოეტად, რომელიც აღაგზნებს ადამიანთა სულებს განსაკუთრებით პირველი სიჭაბუკის მღელვარე ასაკში. შექსპირის შემდეგ იგი სიდიდით პირველი ინგლისელია, რომელიც შევიდა მსოფლიო ლიტერატურაში.

„იმისათვის, რომ გახდე პოეტი, საჭიროა იყო შეყვარებული, ან უბედური. მე ერთიც ვიყავი და მეორეც, როდესაც „მოცალეობის საათებს" ვწერდი",—ამბობს ბაირონი თავისი ლიტერატურული კარიერის დასაწყისის შესახებ. „მოცალეობის საათებში" იგი ჯერ კიდევ მიმბაძველი იყო. მისი მოდელები იყო პოპის კლასიცისტური ოდები, ოსსიანის სიმღერები და რომანტიკული ბალადები. მაგრამ მის მომდევნო პოემაში უკვე მოსჩანდა მომავალი სატირიკოსი რეალისტი, რომელსაც ჯერ მაინც გრძელი გზა უნდა გაევლო თავის თავის აღმოჩენამდე. ამ პერიოდში ბაირონის ფილოსოფია განმანათლებლობის მოწინავე იდეალებს ემყარებოდა.

ტიტანიური საქმის მოთხოვნილებამ და ინდივიდუალისტურმა პროტესტმა. ბაირონი სამოგზაუროდ წაიყვანა სამხრეთში და აღმოსავლეთში. იქ ეძიებდა იგი ძლიერ ვნებებსა და საგმირო საქმეებს, უშუალობას და პირველყოფილებას, რომანტიკულ თავისუფლებას.

„სიცოცხლის დიადი არსი არის შეგრძნობა გრძნობა იმისა, რომ ვარსებობთ თუნდაც ტანჯვაში. ჩვენ ხომ მხოლოდ ეს „მტკივნეული სიცარიელე" გვიტაცებს თამაშისაკენ, ბრძოლისკენ, მოგზაურობისკენ, ამა თუ იმ მიზნისადმი აულაგმავი, მაგრამ მწვავედ შეგრძნობილი მისწრაფებისკენ, რომლის მთელი სიხარული მიზნის მიღწევასთან დაკავშირებულ მღელვარებაშია". ამ განწყობილებით იწყებს ბაირონი პირველ მოგზაურობას, ევროპის გარშემო. ამ განწყობილებით ავსებს იგი თავის პოეტურ დღიურს, რომელსაც დაბრუნების შემდეგ „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობას" უწოდებს. მსოფლიო სევდით შეპყრობილი ახალგაზრდა არისტოკრატი ჩაილდ ჰაროლდი—თვითონ ბაირონია, სინამდვილიდან თავდავიწყებისკენ გაქცეული ადამიანი. იგი ყველგან სილატაკეს ხედავს და გარდასულ დიდებას,—სარკინოზებისგან გათელილ ესპანეთში, თუ დანგრეულ აკროპოლისში. თუმცა ეს გმირი—არისტოკრატი ინდივიდუალისტია, დემონიურ წამოსასხამში გამოხვეული, მას მაინც მეტი სიყვარული აქვს ძალისა და ვნებებისადმი, ვიდრე თუნდაც მისეარ გაქცეულ შატობრიანის რენეს. ასეთივე არიან ჩაილდ ჰაროლდის ნათესავები „აღმოსავლური პოემებიდან", ამაყი გამომწვევი პროტესტანტები, რომლებიც იცავენ სიმართლეს და დაჩაგრულს, და ადიდებენ სტიქიურ, გარდაუვალ სიყვარულს. ისინი მოქმედებენ აღმოსავლური პეიზაჟის და ეგზოტიკის ფონზე. მხატვრული ორმაგობის ნიშანი ეტყობა ამ პერიოდის ბაირონს: ერთის მხრივ პოპის და ვოლტერის კლასიციზმის ტრადიცია—რაციონალიზმის საშუალებით გამოვლენილი, მეორეს მხრივ რომანტიკული ნოვატორობა—ირრაციონალიზმის სახით.

ოჯახური დრამა და მორალური კონფლიქტი ლონდონის უმაღლეს წრეებთან აიძულებს ბაირონს საბოლოოდ დასტოვოს ინგლისი. ის სამხრეთისაკენ მიემგზავრება არა თავისი საყვარელი ოკეანის გზით. ბელგიით და შვეიცარიით მოგზაურობს იტალიისკენ. მაშინ იწყება მისი ცხოვრების და შემოქმედების ახალი პერიოდი. სადღაც, ვატერლოოსა და რავენნას შუა, შვეიცარიის ალპების კალთებზე, თუ ტერეზა გვიჩიოლის სასახლეში, ხდება ბაირონის სულის გარდატეხა.

ბაირონის „მსოფლიო სევდას" სამი ინგრედიენტი ჰქმნიდა: უთანხმოება საკუთარ თავთან, უთანხმოება საზოგადოებასთან და სამყაროს წესრიგით უკმაყოფილება. სამივე ინგრედიენტი თანდათან ამაღლებული ხარისხია ერთი წარმოშობის სულიერი განწყობილებისა. უკანასკნელად ნამდვილი, ფილოსოფიური მნიშვნელობის „მსოფლიო სევდა" მსჭვალავს ბაირონის შემოქმედებას. ამ პერიოდში აღწევს იგი თავის მწვერვალს. აქვე იწყება გარდატეხა მის შემოქმედებაში—დაბრუნება ხალხის წიაღში. „მანფრედში" უკანასკნელად უმღერის ბაირონი უმაღლეს ჰიმნს უშორეს მისწრაფებებს და მათი განხორციელების ტრაგიკულ შეუძლებლობას, ბნელსა და გამოუვალ სასოწარკვეთილებას. მაგრამ დიოხანს ვერ სძლებს ამ მდგომარეობაში. მალე ნაპოლეონის კულტში ბაირონს შეაქვს კორექტივი ვაშინგტონის კულტის სახით, მანფრედის ტიპში—კაენის სახით. ბაირონის ბეატრიჩეს-მერი ჩავორტს, სცვლის ტერეზა გვიჩიოლი.

მისტერია „კაენში" მეტაფიზიკურ სევდას, სოციალურზე და პირადზე მაღლა მდგარ სევდას, ბაირონი მიჰყავს ღვთის წინააღმდეგ ბრძოლამდე. ნაწარმოების გმირი უკვე ალტრუისტია, კაცთმოყვარე, ღვთის უსამართლობის წინააღმდეგ მძლავრად ამბოხებული. ამავე ჰუმანისტური განწყობილებით არიან აღბეჭდილი „ჩაილდ ჰაროლდის" ახალი ქებანი.

შვეიცარია და იტალია, მეგობრობა შელლისთან და მისი პანთეისტური ესთეტიკის გავლენები, კეთილმყოფელი დაახლოვება ტერეზა გვიჩიოლისთან — ყოველივე ეს ბაირონს აყენებს ახალ გზაზე: იგი იწყებს ესთეტიზმის გზით სინამდვილესთან შერიგებას. მხიარული გალექსილი მოთხრობა „ბეპპო" წინ უძღვოდა ამ გარდაქმნას. „ტასსოს ჩივილი" და „დანტეს წინასწარმეტყველება" ეხებიან შემოქმედის პრობლემას. „სარდანაპალში" იხატება ჰუმანისტი, ეპიკურეელი გვირგვინოსანი. ბაირონი პირველად უფიქრდება ხალხის ცხოვრების პრობლემას.

„ბეპპო" უკვე დგას რომანტიკული და რეალისტური სტილის საზღვარზე. „დონ-ჟუანში" ბაირონი ნამდვილად რეალისტურად ხატავს ჩვეულებრივ მომხიბლავ ჭაბუკს. ეს აღარ არის ესპანური თქმულების გმირი—ვერაგი და დემონიური, მოტრფიალე ახალგაზრდა ქალებისა, არც ბაირონის ინდივიდუალისტი. იგი ეპიურად წყნარი მოგზაურია მაშინდელი ევროპის ქვეყნებში. ილუზიების გარეშე სჭვრეტს იგი შიშველ სინამდვილეს, დასცინის მონარქიის რესტავრაციის ეპოქას, კაპიტალისტური საზოგადოების მიერ ადამიანის ნიველირებას, მის ეთიკას. იგი საგრებს თავის სახელებს არქმევს. „ბრინჯაოს საუკუნეში" ბაირონი იხილავს პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს. ასე მიდის ბაირონი რეალიზმამდე. უკანასკნელი მისი პოემა „კუნძული" წარმოადგენს უზრუნველი ცხოვრების რუსოისტულ იდილიას, მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნების წიაღში გამოხატულს.

ოცდათექვსმეტი წლის იყო ბაირონი. ეს იყო ასაკი, როდესაც ბაირონები კვდებოდნენ.

„დრო, კაცთა გულის ბინდით მზარავი,
მოუახლოვდა ჩემს გულს, ფარული.
არ შემიყვარებს თუმცა არავინ —
მსურს სიყვარული!"

იგი საბერძნეთში იმყოფებოდა. ბერძენთა მთავარსარდალი იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი ევროპა უყურებდა მის საქმიანობას.

„მახვილი, დროშა და ბრძოლის ველი,
გარს საბერძნეთის დიდების რხევა!
ვით დაყრდნობილი ფარს სპარტანელი,
ამაყად ვდგევარ!"

კეთილშობილმა ადამიანმა ჰპოვა თავისი ყველაზედ მაღალი მოწოდება, იგი უკანასკნელად უძახდა სულს: „აღსდექ... და ომში ჩქარა!"

„ულირსი ხორცი აწ შენს ხსენებას
უნდა ისმენდეს მდუმარე სახით,
გულგრილად სჭვრეტდეს ქვეყნის შვენებას,
ვნებათა ძახილს.
თუ გენანება კვლავ სიჭაბუკე—
პატიოსანი სიკვდილის მხარე
აქ გელოდება: ომში დაბუგე
სიცოცხლე ბარემ!".

მან იცოდა, გმირის საფლავის მოპოვება არ იყო ადვილი, მაგრამ მან მოიპოვა. იგი პატარა ერის თავისუფლებისა და დიდი დემოკრატიული იდეისათვის ბრძოლაში.

დიდი იყო თანამედროვეთა მწუხარება ამ ულამაზესი გენიის სიკვდილის გამო, კიდევ უფრო დიდი შეიქმნა მისი გავლენა მსოფლიო ლიტერატურის ყველა მხარეში.

(„ლიტ. და ხელ." გვ. მე-3).



ქრისტიან — გ. სალარაძე.



რაგნო — ემ. აფხაიძე

# სირანო დე-ბერჟერაკ
(დასასრული)

ცოცხლად გამოხატული სახეებია რეს. ხა[illegible] არტისტ[illegible] მ[illegible]ავიას — ლინიერი, რესპ. დამსახურებულ არტისტების ნ. ალექსი-მესხიშვილის — დედა მარგარიტა, ო. დოლიძის — [illegible], სარჩიმელიძის — კაპუცინი, მ. ჩიხლაძის — მუშკეტერი, ვლ. ადამიძის — მარკიზი, მსახიობ ან. სანაძის — დუენია. ეს სახეები ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ, რომ პატარა როლიც კი მეტად მომგებიანი მასალაა ხოლმე ნიჭისა და ოსტატობის გამოჩენისათვის.

ი. თუმანიშვილს ახალგაზრდა მსახიობებთანაც სიყვარულით და გულმოდგინედ უმუშავნია. კერძოდ, ახალგაზრდა მსახიობმა ნათელა იასალაშვილმა ღირსეული პარტნიორობა გაუწია გამოცდილ მსახიობს ფ. ჭანტურიას. იასალაშვილის პაჟი თავის ცოცხალი და მოხდენილი მოძრაობით, თეატრალობის გრძნობით, მომხიბვლელი ხმით სპექტაკლს სიხალისეს მატებს.

ასევე გამოირჩევა მედეა ჩახავა, რომელსაც გულწრფელი განსახიერების უნარი გააჩნია.

კარგი იყო ნოდარ ჩხეიძე დე-ვალვერის როლში.

მეპურეტეს როლი მომხიბვლელი ქალურობით და ახალგაზრდული სიხალისით განასახიერა მ. თბილელმა.

ახალგაზრდა მსახიობებმა ბ. ნიკოლაიშვილმა (მსახიობი ქალი), თ. ბოლქვაძემ (მეყვავილე ქალი), მ. გეგეჭკორმა (მეკარე და პოეტი), ს. ისნელმა (ბრიასი), თ. ტატიშვილმა (გიჟი), მ. გიჟიმურელმა (მაყურებელი), გ. კიკაძემ, გ. გოგიჩაიშვილმა (ლაქიები), ო. ბაბუნაშვილმა, ს. ხარაზიშვილმა, ს. გვარამაძემ (პოეტები), შ. კაპანაძემ, მ. ოტრიაშვილმა და დ. წერომემ (მზარეულები) ამ წარმოდგენაშიაც გვიჩვენეს სცენის შემოქმედთა ახალი თაობის ნიჭი და შესაძლებლობა და წინა წარმოდგენებით ახალგაზრდობისადმი აღძრული ინტერესი კიდევ უფრო გაცხოველეს.

ამ სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ს. ვირსალაძე. როსტანის პიესის სცენიურ განსახიერებაში მას რეჟისორის და აკაკი ხორავას თანაბარი წვლილი აქვს შეტანილი. ს. ვირსალაძე ფაქიზი გემოვნების და ჭეშმარიტად პოეტური შთაგონების მხატვარია. ამ სპექტაკლის მესამე აქტის ლამაზი და ლაკონიური დეკორატიული გაფორმება მოწმობს თუ რამდენად ძუნწი და თავშეკავებული არტისტული გზნებით აღწევს მხატვარი ლირიკული განწყობის გადმოცემას. ხოლო მეხუთე მოქმედებაში მხატვარი დრამატიულობის უჩვეულო გრძნობას იჩენს და მაყურებელს ხიბლავს გულწრფელი პოეტური განცდით.

რეჟისორი ძუნწად მიმართავს მუსიკას. ამ სპექტაკლში ყოველი ჰანგი სპექტაკლის ორგანიული ნაწილია, და სპექტაკლის მხატვრული სრულყოფა უთუოდ ბევრით არის დავალებული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის კოლორიტული და ნათელი შემოქმედებით.

* * *

დიდი სტალინი სასიხარულო და საამაყო შეფასებას აძლევს ჩვენს ინტელიგენციას, რომელმაც როგორც ბელადი ამბობს, „საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, კულტურა და ხელოვნება გაამდიდრა ახალი შესანიშნავი მიღწევებითა და აღმოჩენებით". სამამულო ომის პირობებში საქართველოს მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა თავის ქვეყნის სასახელოდ არა ერთი და ორი ნაწარმოები შექმნეს. მიმდინარე სეზონის ყველაზე შესანიშნავი სპექტაკლი „სირანო დე-ბერჟერაკ" ჩვენი ხელოვნების ერთი იმ ქმნილებათაგანია, რომელიც ამართლებს დიდი ბელადის საპატიო შეფასებას და გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მხატვრული კულტურის წინსვლას.

# ქართული პორტრეტული ფერწერა
(დასასრული)

პორტრეტი არ განიცდის სტილის იმ ძირეულ გარდატეხას, რაც ახასიათებს რუსული პორტრეტის განვითარებას იმავე დროს. XVIII საუკუნეში რუსული პორტრეტი დასავლეთ ევროპის ფერწერის ენაზე ამეტყველდა. ევროპის დიდი მხატვრული ცენტრებისაგან სიშორისა თუ საქართველოში უცხოელთა სიმცირის გამო, ქართული პორტრეტი ამ პერიოდში არ უარჰყოფს ძველ ტრადიციებს. ოსტატს ახალი მოთხოვნილების შესაბამისად ერთგვარი ცვლილებები შეაქვს პორტრეტულ ხელოვნებაში. პორტრეტი სწყდება მონუმენტალური ფერწერის სფეროს და დაზგური ფერწერის ნაწარმოებად იქცევა. კედლიდან ის ტილოზე ადის და ამასთან დაკავშირებით უფრო პატარა ზომისა ხდება, კედლის ფართო არე ეხლა ჩარჩოთი არის შემოზღუდული. მთავარი განსხვავება ის არის, რომ ახლა პორტრეტს ახლოს სჭირდება ხილვა და აუცილებელი ხდება სახის ყველა წვრილმანის აღბეჭდვა.

თბილისში დაცულ XVIII საუკუნის სპარსულ პორტრეტთა კოლექცია წარმოდგენას გვაძლევს იმ ფორმებზე, რომელთა გავლენითაც ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის ქართული პორტრეტის თავისებურება და სტილი. სპარსული კულტურის გავლენა ქართულზე მძლავრი იყო განსაკუთრებით XVII საუკუნეში, რამაც დაღი დაამჩნია მთელი ცხოვრების წყობას, ზნეჩვეულებებს, ენას და რასაკვირველია ხელოვნებასაც.

სპარსული პორტრეტების მთელი წყება ადასტურებს ამ ორი ქვეყნის საპორტრეტო ფორმების იგივეობას, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჩვენ შესაძლოთ დავინახავთ დავუშვათ XVIII ს. ქართული პორტრეტის გავლენა სპარსულზე, როდესაც მონუმენტური ფრესკის ნიადაგზე განვითარებულ ქართულ პორტრეტს მეტი მონაცემები ჰქონდა წამყვანი როლის შესასრულებლად.

აქ ჩვენ ისევ სიბრტყითი ხასიათის, თითქოს ფონზე ხაზით გადაკრულ გამოსახულებასთან გვაქვს საქმე, უმრავლეს შემთხვევაში პირისახის გამოსაძერწავად არ მიმართავენ არც ნახევარტონებს და არც სქელ ჩრდილებს. ლოკალური ტონის შემუქება პირისახის კიდეებთან ჰქმნის ერთნაირი პირობითი მოცულობის შთაბეჭდილებას. ფერი ხმარებულია ლაწვის შუაგულში, ოდნავად ნიკაპზე და თვალების ირგვლივ (ქალი სარკესთან). თვალების მოგრძო ფორმა და შეერთებული წარბები გამოხატავენ ტიპიურ თვისებებს და სურვილს ხორცშესხმულ იქნას ქალის სილამაზის იდეალური სახე.

ყველა ეს სურათი—„თარზე დამკვრელი ქალი", „მოცეკვავე", „ქალი შველით", „ქალი სარკესთან", რომელიც წარმოადგენს ქალის სილამაზის, მოხდენილობის, სიკეკლუცისა და ძალდაუტანებელი მხიარულების განსახიერებას, — ჰქმნის გარემოს ნამდვილი პორტრეტის, ინდივიდუალურ თავისებურებათა გამომხატველი პორტრეტის შესაქმნელად.

მეტეხის მუზეუმში ცალკეული კოლექციის სახით დაცულმა XIX საუკუნის დასაწყისის პორტრეტებმა თითქმის არ შემოგვინახეს ოსტატების ვინაობა. ეს კოლექცია წარმოდგენას გვაძლევს პორტრეტულ სკოლაზე მთლიანად და არა ცალკეული ოსტატების შემოქმედებაზე. მეტწილად პორტრეტები სამეფო კარზე მყოფ ისტორიულ პირებს ან სამეფო ოჯახის წევრებს წარმოგვიდგენენ. კოლექცია ცხადჰყოფს, რომ XIX ს. პორტრეტი ისევე, როგორც უფრო ადრინდელიც, მონუმენტურ ფრესკიდან იწყებს განვითარების გზას. ეპოქის მოთხოვნის შესაბამისად პორტრეტს ახალი ნიშნები ემჩნევა ინდივიდუალური თვისებების მეტი გამოვლინებისათვის, მაგრამ მხატვრული ფორმის ათვისების არსი ოცვლელი რჩება.

პორტრეტი ახლა ხასიათდება პირისახის ნაკვთების გამოქანდაკებით და თბილ ბუნებრივ, მოხორცისფერო ელფერით. ასეთია ახალგაზრდა თავადის პორტრეტი. მასში დიდ კონტრასტსა ჰქმნის შავი კოსტიუმისა და შავი ფონის დაპირისპირება პირისახის ნათელ ადგილთან, რომელიც მკვეთრად იმიჯნება პორტრეტის ფონისაგან. ეს არ არის ფერწერის ის მანერა, რომელიც ემყარება ჩრდილთა გრადაციას და შუქურ ლაქებს. მხატვრის მიზანია ფორმის მკაფიო გამოვლინება პირობითი ჩრდილების საშუალებით. ეს პორტრეტი ძველი ფრესკისაგან განირჩევა პირისახის მეტი გამოხატულებით და მეტი ინდივიდუალობით.

დამახასიათებელია ამ პორტრეტის მხიარული დეტალი. ეს არის ფარდის მეორე მხრიდან გამოწვდილი ქალის ხელი, რომელიც შესაფერი მოძრაობით თავისკენ იწვევს. მოკლე წარწერა იუწყება „აქ მოდი"-ო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხიარული დეტალი ერთად-ერთია მთელ კოლექციაში და რომ ქართული პორტრეტი, საბედნიეროდ ასცდა თეატრალობას, მასკარადობას და მითოლოგიით გატაცებას, რომელიც XVIII ს. ევროპულ პორტრეტს ახასიათებს.

ამ კოლექციაში მოთავსებულ დარია დედოფლის ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლის და სხვ. წარჩინებულ პირთა პორტრეტებშიაც ვამჩნევთ ძველი ფრესკული პორტრეტის იმავე ტრადიციებს—ნახატის ხაზოვნობას, კონტურის მოხაზულობის დახვეწილობას და მონაქარგების ნაირსახეობას. თქმა არ უნდა, ქართული პორტრეტი სავსებით ვერ ასცდა ევროპის გავლენას. კოლექციაში მოიპოვებიან ისეთი ნიმუშებიც, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მაშინ ევროპულ ხერხებსაც იცნობდნენ. სილამაზით გამოქმულ მანანა ორბელიანის 1850 წ. აკვარელის სურათი მთლად ევროპულ ყაიდაზე არის შესრულებული ფერების, ჩრდილის და ნახევარტონების გრადაციის გადმოცემით.

პორტრეტულ ფერწერაში ნახევარ ფერების გრადიციის გამოყენებას შედეგად მოჰყვა, სივრცითი გარემოს და სიღრმის გადმოცემის საჭიროება, რასაც ხაზში შესული ქალის პორტრეტში ვხედავთ, რომელიც, ქართულად თავდახურული და მუქ-ალუბლისფერ კაბით შემოსილი, ფარდიანი ფანჯრის ფონზეა გამოსახული. ამ ევროპულმა ხერხებმა, რამდენადაც მათ ვერ შესძლეს ქართული პორტრეტული გადმოცემის ძირითად საშუალებათა შეცვლება, რა თქმა უნდა, ვერ შესცვალეს ქართული სკოლის პორტრეტული ფერწერის სახე. პირიქით, ამ ხერხების გამოვლინება გვიდასტურებს მხოლოდ, რომ ქართულმა პორტრეტულმა ფერწერამ თუმცა ბითვისა თავისი ბუნებისათვის უცხო ხერხები, მაინც შეინარჩუნა თავისი დედაარსი—მონუმენტურ ფრესკასთან ძირფესვიანი კავშირი.

# ქართული ლიტერატურის საღამოები მოსკოვში

[illegible]

# დავით შავთავა — „რაისა ფარასოვა"
## [illegible] თეატრის ახალი დადგმა

[illegible]

# მუსიკალური ცხოვრება

## ი. ფალიაშვილის ახალი ოპერა

[illegible]

## კონცერტი-მატინე

[illegible]

## ბალეტი „[illegible]"

[illegible]

# უცხოეთის ქრონიკა

## ახალი ინგლისური კინოფილმი

[illegible]

## ფან ჩინ ბლოკის პიესა „ტოლები"

[illegible]



[illegible]

# ქრონიკა

## საპირველმაისო საღამოები წითელი არმიის ნაწილებში

საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მოაწყოს წითელი არმიის ნაწილებსა, სარაიონო ცენტრებსა და კოლმეურნეობებში საპირველმაისო საღამოები პოეტებისა და მწერლების მონაწილეობით. ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იგზავნებიან გრიგოლ ჩიქოვანი, მარიამ გარიყული, ანდრო თევზაძე, ლევან გოთუა, გიორგი კაჭახიძე და მაყვალა მრევლიშვილი.

## თათბირი საბავშვო მხატვრულ წიგნზე

20 აპრილს საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შესდგა თათბირი საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნ. ჩაჩავა, კამათში მონაწილეობა მიიღეს მხატვარმა ა. ქუთათელაძემ, აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, ი. გრიშაშვილმა, ი. მოსაშვილმა, ნ. ნაკაშიძემ, მხატვარმა შ. მამალაძემ, საბლიტგამის დირექტორმა კ. ჭანტურიშვილმა, ი. სიხარულიძემ, ა. ღვინიაშვილმა, შ. თაბუკაშვილმა და სხვებმა. თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. დ. მჭედლიშვილმა.

## მხატვრული დოკუმენტური კრებული ქართველ მებრძოლთა და მეთაურთა შესახებ

მწერალთა კავშირის თავდაცვის სექციას დაევალა განაახლოს მუშაობა სამამულო ომის მონაწილე ქართველ მებრძოლთა და მეთაურთა შესახებ დოკუმენტური და მხატვრული მასალის შესაგროვებლად. იგი, სათანადო დამუშავების შემდეგ, მიმდინარე წელს ცალკე კრებულად იქნება გამოცემული.

## აკაკი წერეთლის „ნათელა" რუსულ ენაზე

პოეტმა ბორის ბრიკმა რუსულ ენაზე სთარგმნა აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა". მწერალთა კავშირის პრეზიდიუმთან არსებულმა სარედაქციო კომისიამ „ნათელას" ბრიკისეული თარგმანი მოიწონა, მიმდინარე წელს მას გამოსცემს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა".

## პოეზიისა და მთარგმნელთა სექციების ახალი ხელმძღვანელი

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა პოეზიისა და მთარგმნელთა სექციების ხელმძღვანელად გამოჰყო პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

## მოხსენებები ჟურნალ „მნათობისა" და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების" მუშაობის შესახებ

ამ უახლოეს ხანში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე განხილული იქნება ჟურნალ „მნათობისა" და გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების" მიმდინარე წელს გამოსული ნომრები. მოხსენებით გამოვლენ რედაქტორები ამხ. ალიო მაშაშვილი და ამხ. გიორგი ნატროშვილი, რომელნიც იმავე დროს პრეზიდიუმს წარუდგებიან რედაქციების მომავალი მუშაობის გეგმით. პრეზიდიუმის წევრებს გარდა, ჟურნალისა და გაზეთის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს მწერალთა აქტივი.

## ახალ ნაწარმოებთა განხილვა პროზაიკოსთა სექციაში

პროზაიკოსთა სექციას თავისი უახლოესი გეგმით გათვალისწინებული აქვს მოაწყოს ალექსანდრე ქუთათელის რომანის „პირისპირ" მესამე წიგნის და რაჟდენ გვეტაძის ახალი მოთხრობების საჯარო განხილვა. ამავე სექციის დახურულ სხდომაზე გარჩეული იქნება ლეო ქიაჩელის ახალი მოთხრობა „მთის კაცი", ლ. ავალიანის და ნინო დოლიძის ჯერ დაუბეჭდავი მოთხრობები.

## დისპუტი პიესაზე „ორჯონიკიძის ხმალი"

ამ დღეებში ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ჩატარდა დისპუტი პიესაზე „ორჯონიკიძის ხმალი". მოხსენება გააკეთა ვაჟთა მე-19 სკოლის მოსწავლე გელა ასათიანმა. მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი კამათი. დისპუტს დაესწრნენ პედაგოგები, მოწაფეები, მსახიობები. დასასრულ თეატრის სახელით მადლობა გადაუხადეს მე-19 სკოლის ლიტწრის წევრებს, რომლებმაც ეს საინტერესო დისპუტი მოაწყეს.

# მოძმე რესპუბლიკებში

## ანტიოხ კანტემირის გარდაცვალების 200 წლისთავი.

შესრულდა მე-18 საუკუნის ჩამოჩენილი რუსი სატირიკოსის ანტიოხ კანტემირის გარდაცვალების 200 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით მოსკოვის ლენინის სახელობის საკავშირო ბიბლიოთეკაში მოეწყო ამ პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრებისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია კანტემირის თხზულებათა უძველესი გამოცემები, ვრცელი ბიბლიოგრაფია და ბიოგრაფიული მასალები კანტემირზე.

## მხატვრული ქარგვის პოლტაველი ოსტატები

მხატვრული ქარგვის პოლტაველი ოსტატები ცნობილი არიან არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც, განსაკუთრებული დიდი სახელით სარგებლობდა ომამდე ლესია უკრაინკას სახელობის სამხატვრო საშრეწველო არტელი. მოსკოვისა და პარიზის გამოფენებზე ამ არტელის წევრთა ხელსაქმემ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. გერმანელმა ოკუპანტებმა გასძარცვეს და დაიტაცეს არტელის მთელი ქონება, ამჟამად უკვე აღდგენილია სახელოსნოს შენობა, შეძენილია მოწყობილობა და ნედლეული. პოლტაველი მქარგავი ქალები მალე განაახლებენ თავიანთ საყვარელ საქმიანობას და მთელს ჩვენს ქვეყანას კვლავ მიაწვდიან წარმტაცად მოქარგულ უკრაინულ ხალათებს, საბავშვო ტანსაცმელს, ფანჯრის ფარდებს და სხვ.

## საღამო ცნობილი რუსი მხატვრის ს. ივანოვის შემოქმედებაზე

21 აპრილს შესდგა მოსკოვის მხატვართა კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა, მიძღვნილი გამოჩენილი რუსი მხატვრის ს. ივანოვის შემოქმედებისადმი. შესავალი სიტყვით გამოვიდა ი. გრაბარი, მოხსენებით — ვ. ჟურავლიოვი. თავიანთი მოგონებები ამ დიდ რუს მხატვარზე დამსწრეთ გააცნეს მხატვრებმა და ხელოვნების მცოდნეებმა. მხატვართა კავშირის შენობის ერთ-ერთ დარბაზში მოეწყო ს. ივანოვის ნაწარმოებთა გამოფენა.

## ჰილდა ტიხლია

რამდენიმე დღის წინად ქ. ბელამორსკში გარდაიცვალა მხცოვანი კარელელი მწერალი ქალი ემილია კრისტი, რომელიც საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ ცნობილი იყო ჰილდა ტიხლიას სახელით. ის 50 წელზე მეტს მუშაობდა სამწერლო ასპარეზზე, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1905 წლის რევოლუციონურ მოძრაობაში.

ტიხლიამ დიდი ტანჯვა და წამება გადაიტანა ფინელ რეაქციონერებისაგან, რომლებიც სასტიკად დევნიდნენ მას. ამხანაგების დახმარებით მან მოახერხა ჯერ შვეციაში გახიზვნა, ხოლო იქიდან საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, თავის ახალ სამშობლოში ტიხლიამ ფინურ ენაზე დასწერა მრავალი მოთხრობა და ლექსი, რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიპოვეს მკითხველ მასებში.

## რუსული ჟურნალების ახალი ნომრები

გამოვიდა ლენინგრადული ჟურნალის „ზვეზდას" 1944 წლის პირველი ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია მოთხრობები, რომელთა მთავარი გმირები არიან წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები, რომელნიც მონაწილეობდენ ლენინგრადისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. ჟურნალში მოთავსებულია რამდენიმე წერილი ცნობილი მწერლებისა და მეცნიერებისა, აგრეთვე არის სტატიები ლენინგრადის გარეუბნებზე, კრასნოე სელოზე, პეტერგოფზე, ქ. პუშკინზე, პავლოვსკზე, და ამ ქალაქების ხუროთმოძღვრების ძეგლებზე.

გამოვიდა ჟურნალ „კრასნოარმეეცის" ახალი, მეხუთე ნომერი, მრავალფეროვანი მასალით და ფაქიზად შესრულებული ილუსტრაციებით. სხვათაშორის ჟურნალში მოთავსებულია ირაკლი თოიძის სურათები.

## დნეპროპეტროვსკის დრამატიული თეატრი

სამამულო ომის წლებში დნეპროპეტროვსკის შევჩენკოს სახელობის თეატრი დიდი წარმატებით მუშაობდა კაზახეთის და უზბეკეთის ქალაქებში. ახლახან მთელი თავისი შემადგენლობით, მოწყობილობით, სპექტაკლების დეკორაციებით და რეკვიზიტით თეატრი ქალაქ ნამანგანიდან გაემგზავრა განთავისუფლებულ დნეპროპეტროვსკში, სადაც იგი განაახლებს თავის მუშაობას.

# რუსეთის თეატრების ახალი დადგმები

## ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი" სცენაზე

მოსკოვის ახალმა თეატრმა 21 აპრილს მაყურებლებს უჩვენა ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი" (პეჩორინის დღიური). მოთხრობის ტექსტის სცენიური კომპოზიცია და დადგმა ეკუთვნის ამ თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელს ვ. ფოტიევს, რეცენზენტების დასკვნით, თეატრი დიდი სიფრთხილით მოეკიდებია ლერმონტოვის შესანიშნავ პროზას და მის პოეტურ სახეებს. სპექტაკლში ლერმონტოვის ტექსტი უცვლელად არის შეტანილი, ღრმა განცდით განასახიერეს კ. ბახტეროვმა —პეჩორინი, ვ. ლეონენკომ—თავადის ქალი მერი, მ. დობრონრავოვმა—გრუშნიცკი, რ. კრეჩეტოვმა—ვერნერი. ახალი თეატრი, რომელმაც „ჩვენი დროის გმირი" გაასცენიურა, სამამულო ომის დღეებში შეიქმნა. მოსკოვის თეატრებიდან იგი ერთად ერთია, რომელმაც თავის რეპერტუარში შეიტანა ლერმონტოვი.

## სტალინგრადის დრამატიულ თეატრში

სტალინგრადის გორკის სახელობის დრამატიულ თეატრში შესდგა სპექტაკლ „სტალინგრადელების" მონაწილეებისა და დამდგმელებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სცენაზე სტალინგრადის გმირული ეპოპეის სწორი ასახვისათვის საკ. კ. პ.(ბ) სტალინგრადის საოლქო კომიტეტმა და საოლქო აღმასკომმა 20 ათასი მანეთით და საპატიო სიგელებით დააჯილდოვა თეატრის კოლექტივი.

## პიესა „სტალინგრადელები"

მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალურ სახლში 12 აპრილს პირველად წარმოდგენილ იქნა ახალი პიესა „სტალინგრადელები". პიესის ავტორი კაპიტანი ი. ჩეპურინი—სტალინგრადის ეპოპეის მონაწილეა. როგორც მოსკოვის გაზეთების რეცენზენტები აღნიშნავენ, ი. ჩეპურინმა თავის პიესაში გვიჩვენა ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები, რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს მსხვერპლად სწირავდნენ სამშობლოსა და მშობლიურ ქალაქის დაცვის საქმეს. მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობენ ერთ ალყაშემორტყმულ სახლში გამართული ბრძოლის დაუვიწყარი ეპიზოდები. მაყურებელი დიდის მღელვარებით ადევნებს თვალს ამბების განვითარებას, გმირულ ბრძოლას საბჭოთა პატრიოტებისას, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ თავგანწირული ბრძოლით მტრის ბრჭყალებისაგან ჰგლეჯენ ლეგენდარულ ქალაქს.

„სტალინგრადელების" დამდგმელმა სახალხო არტისტმა ა. პოპოვმა, რეჟისორმა ი. ჯუროშილოვმა, მხატვარმა ნ. შიფრინმა და მსახიობთა კოლექტივმა შესძლეს მკაფიო სპექტაკლის შექმნა, საზოგადოება გულთბილად შეხვდა ავტორს და შემსრულებლებს.

სარედაქციო კოლეგია:
ლ. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, ბ. ჟღენტი.

რედაქციის მისამართი: მახაძის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 06811